



- დასფარავი ფენები
- » ელექტრონული განცხადებები
- » ბუფერები
- » ხანძრები
- » ტერიტორიულ-ხტრეპუარული ზონა
- » მინიმალური სივრცის განვითარება
- » საპალატო მონაცემები
- » მიწის ხორკლიანი ფენები
- » ფუნდამენტი ზონები
- » ფუნდამენტი ზონები 2014-2018 წლები
- » შენობების ზონები
- » სახელმწიფო/მუნიციპალიტეტური დოკუმენტები
- » სასაფლაოები
- » ჰიდროგრაფია
- » გზები და შიხონები
- » პარკირება
- » სასოფლისმეურნეო ინფრასტრუქტურის სივრცითი დაგეგმვა (დაგეგმილი)
- » საინჟინერო ობიექტები
- » სასოფლისმეურნეო საგნობრივი
- » ინფრასტრუქტურული ობიექტები
- » გონივრული ობიექტები
- » ძალაშია დასრულებული პროექტები

- test fena
- გრძელვადიანი უწყვეტად განხორციელებული შენობების ესპლანდების





- დაფიქსირა ვიხილი
- » პლანეტოლოგიური მონაცემები
- » ადმინისტრაცია
- » სასაფლაოები
- » ტერიტორიულ-ხორეოგრაფიული მონაცემები
- » მინერალური რესურსების მონაცემები
- » საკადასტრო მონაცემები
- » მიწის ხორეოგრაფიული მონაცემები
- » ფანჯირი მონაცემები
- » ფანჯირი მონაცემები 2014-2018 წლები
- » უძველესი მონაცემები
- » სახელმძღვანელო/გეოლოგიური დოკუმენტაცია
- » სასაფლაოები
- » პეტიტორაფია
- » ვიდეო და მონაცემები
- » ვარჯიშები
- » საზოგადოებრივი ინფორმაციის სისტემის დაფარვა (დაგეგმილი)
- » საინჟინერო ობიექტები
- » საზოგადოებრივი ნაგებობები
- » ინფრასტრუქტურული ობიექტები
- » აირხის ობიექტები
- » პალეონტოლოგიური კვლევები

- test fena
- გრე არეალი უნდა იყოს დასაბუთებული ინფორმაციის და უნდა იყოს დასაბუთებული






- * დამფარავი ფენები
 - » მულტიროზული განცხადებით
 - » ბუციონები
 - » ხანძრები
 - * ტერიტორიულ-ხტრუებურული ზონა
 - » რისთვისაცაღობის განგებვა
 - » საკალასტრო მოხაზვებით
 - » მიწის ნორმებიული ფენები
 - » ფუნქციური ზონები
 - * ფუნქციური ზონები 2014-2018 შლები
 - » შენობების ზონები
 - » სახელმძღვანელო/ მეთოდოლოგიური დოკუმენტები
 - » სასაფლაოები
 - » ჰიდროგრაფია
 - » გზები და შენობები
 - » ვარკირება
 - * საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის სივრცითი დაფარვა (დაგამილი)
 - » საინჟინერო ობიექტები
 - * საზოგადოებრივი ნაგებობები
 - » ინფრასტრუქტურული ობიექტები
 - » გონის ობიექტები
 - » ძალაუფლებებითი პროექტები

- test fena
- ვრც არეალი უნებართვოდ გამოიწველებული მოწყობისა და ექსპლუატაციის



2020 საბინაო მოხაზვები



საქართველოს ეროვნული ბანკი
რეგისტრირებულია
კრედიტინგის აქტის
განხორციელების განხორციელებაში
29.07.2019 № 29/38

VTB
სს ვითიზი ბანკი ჯორჯია

იპოთეკის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

2019 წლის 29 ივლისი

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

იპოთეკარი/ბანკი	საფირმო სახელწოდება	სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“
	იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, გ. ჭავჭავაძის ქ. N14
	საიდენტიფიკაციო კოდი	202906427
	წარმომადგენელი	კორპორატიული ბიზნესის დირექტორი
	სახელი და გვარი	ვლადიმერ რობაქიძე
	პირადი ნომერი	01017012795
მესაკუთრე	საფირმო სახელწოდება/სახელი გვარი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ეროვნული ბანკი
	იურიდიული მისამართი/საცხოვრებელი მისამართი	საქართველოს, ქ. თბილისი, ძველი თბილისი, სანაპიროს ქ. N2
	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	203824148
	დირექტორი/წარმომადგენელი	აღმასრულებელი დირექტორი
	სახელი და გვარი	ვახტანგ ბურკიაშვილი
	დირექტორი/წარმომადგენელი პირადი ნომერი	01013014896
	მინდობილობა	გაცემული 2019 წლის 26 ივლისს, N 2-14/2934.
	ელექტრონული მისამართი	info@nbg.gov.ge;
	ტელეფონი	(995 32) 240 6120
	წარმომადგენლის/დირექტორის მისამართი	-
წარმომადგენელი/დირექტორის ელ/ფოსტა	Vakhtang.burkiashvili@nbg.gov.ge	
წარმომადგენლის/დირექტორის ტელეფონი	-	

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 იპოთეკარი უფლებამოსილია, იპოთეკარსა და წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებულ კლიენტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებული საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კლიენტის მიერ შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისას, სხვა კრედიტორებთან შედარებით, პირველ რიგში დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მესაკუთრის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების და აღნაგობის უფლების ხარჯზე რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში, რომლის იპოთეკით დატვირთვის პირობები განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

მუხლი 3. იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულება

3.1 იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების წარმოშობის საფუძველია კრედიტორსა და ამ მუხლში მითითებულ კლიენტს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულება.

3.2 საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	26 ივლისი 2019 წელი
3.3 საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი	NCCCA/00/07/2019-1
3.4 კრედიტის ძირითადი თანხის ოდენობა საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად	2,100,000 (ორი მილიონ ასი ათასი) აშშ დოლარი;
3.5 კლიენტის დასახელება	შპს სითი ცენტრი
3.6 კლიენტის საიდენტიფიკაციო ნომერი	204573185

3.7 საკრედიტო პროდუქტების ოდენობას, საპროცენტო განაკვეთს, საკომისიოს ოდენობას, პირგასამართლობის ოდენობას, დატვირთვის ვადასა და სხვა პირობებს განსაზღვრავს საკრედიტო ხელშეკრულება.



3.8 იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობას შეადგენს ძირითადი თანხა, დარიცხული საპროცენტო განაკვეთი, პირგასამტებლო, საკომისიო, საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ნებისმიერი გადასახდელი და შესაძლო ზიანი, ასევე სასამართლო/არბიტრაჟის/აღსრულების ხარჯები.

3.9 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მესაკუთრე ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია იპოთეკარსა და კლიენტს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების შინაარსი, პირობები და მისგან გამომდინარე შედეგები რის საფუძველზეც სრულად აცნობიერებს თუ რა სახისა და ოდენობის საბანკო კრედიტიდან წარმოშობილი, და რა სახისა და ოდენობის ვალდებულებებს/მოთხოვნებს უზრუნველყოფს კრედიტორის წინაშე.

მუხლი 4. იპოთეკის საგანი


4.1 საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კლიენტის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით იტვირთება მესაკუთრის საკუთრებაში არსებული მთელი უძრავი ნივთი რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან შემდეგი მახასიათებლებით:

განცხადების რეგისტრაციის ნომერი	882019607829
მომზადების თარიღი	26/07/2019
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N	01.15.03.002.033
მისამართი	ქალაქი თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან, "არაგვს" შორის, (ნაკვ. N001/014); ქალაქი თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან "არაგვს" შორის, სტალინის სახელობის სანაპირო N1 (რესტორან არაგვის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი N2/20); ქალაქი თბილისი, ცირკსა და ყოფილ რესტორან "არაგვს" შორის, სტალინის სახელობის სანაპირო N1 (რესტორან არაგვის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი N2/21)
მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი	8779.00 კვ.მ.
იპოთეკის საგნის უფლებრივი მდგომარეობა	წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის იპოთეკის საგანი არ არის დაყადაღებული, დავის საგანს არ წარმოადგენს და არ არის იპოთეკით დატვირთული.
აღნაგობის უფლების განცხადების რეგისტრაციის ნომერი	-
აღნაგობის უფლების რეგისტრაციის თარიღი	-
აღნაგობის ობიექტი	-
აღნაგობის უფლების უფლებრივი მდგომარეობა	-

4.2 ამ ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება: იპოთეკის საგნის სხვა ნივთთან გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე, იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნივთზე (მათ შორის იმ ნაგებობაზე/ებზე, რომელიც აღიზარდება აღნაგობის უფლებით გადაცემულ უძრავ ნივთზე), იპოთეკის საგნისთვის დამატებულ (მიშენებულ, დაშენებულ) ნივთზე, იპოთეკით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღმართულ შენობა-ნაგებობებზე, იპოთეკის საგნის გადაკეთებით (მოდიფიკაციით) მიღებულ ნივთზე, იპოთეკის საგნის აზომვის შედეგად საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ დამატებით ფართობზე და იპოთეკის საგნის ნაყოფზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 5.1 მესაკუთრე უფლებამოსილია ისარგებლოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებით.
- 5.2 მესაკუთრე მოვალეა შეინარჩუნოს იპოთეკის საგნის ღირებულება, არ დაუშვას მისი დაზიანება და განადგურება.
- 5.3 მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი იპოთეკარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე იპოთეკის საგანი დატვირთოს აღნაგობის უფლებით.
- 5.4 მესაკუთრე ვალდებულია აცნობოს იპოთეკარს ისეთი გარემოების დადგომის შესახებ, რომელმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას იპოთეკის საგნის ნივთობრივ ან უფლებრივ მდგომარეობას.
- 5.5 იპოთეკის საგნის შენახვის ვალდებულება, ასევე მისი შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკი ეკისრება მესაკუთრეს.
- 5.6 თუ იპოთეკის არსებობას საფრთხე შეექმნება, იპოთეკარი განუსაზღვრავს მესაკუთრეს შესაბამის ვადას საფრთხის თავიდან ასაცილებლად.



- 5.7 იპოთეკარი უფლებამოსილია იპოთეკით დატვირთული ქონების მდგომარეობის შემოწმების მიზნით, ნებისმიერ დროს მესაკუთრისათვის წინასწარ შეტყობინების გზით, შევიდეს და დაათვალიეროს იპოთეკის საგანი, აზომოს, მოხდინოს ფოტო და ვიდეო გადაღება, მიიღოს მესაკუთრისგან იპოთეკის საგანთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაცია.
- 5.8 თუ კლიენტი ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იპოთეკარი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს იპოთეკის საგნის რეალიზაციით ან მისი საკუთრებაში მიღებით.
- 5.9 იპოთეკარის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იპოთეკის საგნის იპოთეკარის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად ვერ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, იპოთეკარის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება. ამ შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ან/და თავდების საკუთრებაში არსებული სხვა ქონების ხარჯზე ან კანონმდებლობით/ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საშუალებით. თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა მთლიანად ვერ ფარავს იპოთეკარის მოთხოვნას, იპოთეკარი უფლებამოსილია დარჩენილი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს კლიენტის ან/და თავდების საკუთრებაში არსებული სხვა ქონების ხარჯზე ან კანონმდებლობით/ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საშუალებით.
- 5.10 გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში თუ აუქციონზე გასაყიდი დატვირთული ნივთის სყიდვის ფასი იქნება იპოთეკარის მოთხოვნებზე ნაკლები, დატვირთული ნივთის (იპოთეკის საგნის) რეალიზაციით მიღებული თანხით იპოთეკარის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ იპოთეკარის მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო იპოთეკარი უზრუნველყოფილ კრედიტორად.
- 5.11 მესაკუთრე უფლებამოსილებს ანიჭებს იპოთეკარს მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემებთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური) და დოკუმენტაცია:
- გამოიყენოს ვითიბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშების შედგენის მიზნებისათვისა, სვეე გადასცეს ბანკის აქციონერს ან ვითიბი ჯგუფის ნებისმიერ წევრს;
 - გადასცეს მესამე პირებს, საკრედიტო/უზრუნველყოფის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მესაკუთრისაგან/კლიენტისაგან დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.
 - გადასცეს მესამე პირს ბანკის მიერ მესაკუთრის/კლიენტის მიმართ საკრედიტო/უზრუნველყოფის ხელშეკრულებით საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.
- 5.12 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მესაკუთრე/მესაკუთრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი თანახმაა და აძლევს ბანკს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიიღოს ბანკისათვის აუცილებელი მისი პერსონალური მონაცემები. იმ შემთხვევაში თუ იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად მესაკუთრეს წარმოადგენს იურიდიული პირი ან ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნი, ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა ვრცელდება ამ იურიდიული პირის ან ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირთა მიმართ;
- 5.13 ბანი უფლებამოსილია მესაკუთრესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანს უწყვეს პროფესიულ მომსახურებას.
- 5.14 მესაკუთრე თანახმაა წინამდებარე ხელშეკრულების ასლები გადაეცეს კლიენტს, საკრედიტო ხელშეკრულების თავდებს/უზრუნველყოფის მესაკუთრეს.
- 5.15 მესაკუთრე ადასტურებს რომ მასსა და კლიენტის შორის არ არსებობს არანაირი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც კლიენტს უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურება იპოთეკის საგნიდან იმ შემთხვევაში, თუ ეს განცხადება აღმოჩნდება არასწორი მესაკუთრე ვალდებული იქნება იპოთეკარის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საბანკო დღისა გადაუხადოს იპოთეკარს პირგასამტეხლო, რომელიც ტოლი იქნება იმ ანაზღაურების ოდენობისა, რომლის მიღებაც კლიენტს შეეძლო იპოთეკიდან და აუნაზღაუროს იპოთეკარს მესაკუთრის განცხადების სინამდვილესთან შეუსაბამობით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანი.
- 5.16 მხარეებისათვის ცნობილია, რომ მესაკუთრესა და კლიენტს შორის გაფორმებულია იპოთეკის საგნის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გარკვეული გარემოებების დადგომის შემდგომ, მესაკუთრე ვალდებულია გადაუხადოს კლიენტს ქონების საფასური კლიენტის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ არსებულ საბანკო ანგარიშზე (რომელიც მითითებულია იპოთეკის საგნის ნასყიდობის ხელშეკრულებაში). შესაბამისად, მხარეები ვთანხმდებიან, რომ თუ მესაკუთრის მიერ იპოთეკის საგნის საფასურის გადახდის დღისათვის კლიენტის სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიაში“ არსებულ საბანკო ანგარიშზე (რომელიც მითითებულია იპოთეკის საგნის ნასყიდობის ხელშეკრულებაში) იარსებებს ნებისმიერი სახის საჯარო-სამართლებრივი (მათ შორის ინკასო/ყადაღა/აკრძალვა) შეზღუდვა, მესაკუთრე უფლებამოსილია, ბანკისათვის წინასწარი შეტყობინების გზით, თავად მოახდინოს იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად შესრულებისთვის/დაფარვისთვის, იპოთეკის საგნის საფასურიდან საჭირო თანხის ოდენობის ჩარიცხვა იპოთეკარისთვის, ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ მის საბანკო ანგარიშზე.
- 5.17 იპოთეკარი იღებს ვალდებულებას, მესაკუთრის მოთხოვნის არსებობისას, მიაწოდოს მას კლიენტის საბანკო ანგარიშის შესახებ ინფორმაცია.



5.18 მხარეები თანხმდებიან, რომ იპოთეკის საგანი უზრუნველყოფს მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლში მითითებულ საბანკო კრედიტს და მხოლოდ ამ საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაძლებელია ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოფის საგნის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ ბანკსა და მსესხებელს/კლიენტს შორის სხვა რამე არის ან იქნება შეთანხმებული, ამ პუნქტს მიენიჭება უპირატესობა უზრუნველყოფის საგნის და მისი მესაკუთრის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიების ფარგლებში.

5.19 ამ ხელშეკრულების 5.16-5.18 პუნქტებით დადგენილი პირობები მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ.

5.20 იპოთეკარი იღებს ვალდებულებას იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად შესრულებიდან/დაფარვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრირებული იპოთეკის უფლების შეწყვეტის შესაბამისი წერილი.

მუხლის 6. იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველები

6.1 იპოთეკის ხელშეკრულება შეწყდება:

- იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების სრულად შესრულებისას;
- იპოთეკის საგნის რეალიზაციისას, ამ ხელშეკრულების შესაბამისად მასზე გადახდებიდან მიქცევის შემთხვევაში;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.2 იპოთეკის საგნის მესაკუთრის შეცვლა არ არის იპოთეკის შეწყვეტის საფუძველი. ამ შემთხვევაში იპოთეკის საგნის მიმართ დადგენილი ვალდებულებითი ტვირთი მიყვება იპოთეკის საგანს.

მუხლი 7. სხვა პირობები

7.1 ის საკითხები რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებებით.

7.2 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების დამოწმებისა და მისი რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაუქმების ყველა გადასახდელი.

7.3 ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.


7.4 იმ შემთხვევაში თუ იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად მესაკუთრეს წარმოადგენს იურიდიული პირი ან ნებისმიერი ორგანიზაციული წარმონაქმნი, მასზე სრულად გავრცელდება ამ იპოთეკის ხელშეკრულებით დადგენილი პირობები და ვალდებულებები, გარდა ისეთი შემთხვევებისა როდესაც შესაბამისი მესაკუთრის სამართლებრივი სტატუსიდან გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ასეთ მესაკუთრეზე.

7.5 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადადის მხარეთა უფლებამონაცვლელებზე. იპოთეკარი უფლებამოსილია მესაკუთრის თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ამ ხელშეკრულებასთან და მასთან დაკავშირებული უფლებები.

7.6 ნებისმიერი დავა გამომდინარე ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მის გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფაში არსებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სპეციალისტად დაინიშნოს შპს "ემჯი ჰოლდინგი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204572284), რომლის მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება მოთხოვნის 4%-ით. აღნიშნული ოდენობიდან, დაინტერესებული პირი სპეციალისტს წინასწარ უხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 1%-ს. დარჩენილი 3%-ის გადახდება ხდება აუქციონის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული შეთანხმება არ ართმევს კრედიტორს უფლებას უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მიზნით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს/კერძო აღმასრულებელს.

7.7 იპოთეკარს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს მესაკუთრეს (მესაკუთრის წარმომადგენელს, დირექტორს ან თანამშრომელს) ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) ამ ხელშეკრულების 1 მუხლში მითითებულ მისამართზე ან მესაკუთრის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის მოწმობაში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს 1 მუხლში მითითებულ ტელეფონზე (მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით), ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მესაკუთრის იმ ტელეფონზე (მოკლე ტექსტური



შეტყობინების ფორმით), ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს 1 მუხლში მითითებულ მესაკუთრის წარმომადგენლის/დირექტორის საცხოვრებელ მისამართზე, ამავე პირის ტელეფონზე (მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით), ფაქსზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან სხვა კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება მესაკუთრისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა იპოთეკარის სახელით იპოთეკარის თანამშრომლის მიერ ტელეფონით (მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით) ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება მესაკუთრისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

შეტყობინება მესაკუთრის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მესაკუთრისათვის (მესაკუთრის წარმომადგენლისთვის, დირექტორისთვის ან თანამშრომლისთვის) ჩაბარების დღეს.
- კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან მესაკუთრისათვის (მესაკუთრის წარმომადგენლისათვის, დირექტორისათვის ან თანამშრომლისათვის) ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენლის/დირექტორის) ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) იპოთეკარის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

იპოთეკარის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მესაკუთრეზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკარს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენლის/დირექტორის) ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან მესაკუთრე (მესაკუთრის წარმომადგენელი/დირექტორი ან თანამშრომელი) უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან იპოთეკარი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენლის/დირექტორის) ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების, არ არსებობის ან გაუმართაობის შესახებ შეტყობინებას.


თუ მოხდა 1 მუხლში მითითებული მესაკუთრის (მესაკუთრის წარმომადგენლის/დირექტორის) რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება იპოთეკარს, შეტყობინება/დოკუმენტი მესაკუთრის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

7.8 ეს ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის, ერთი გადაეცემა მესაკუთრეს, ხოლო ორი – იპოთეკარს.

მუხლი 8. მხარეთა ხელმოწერები

იპოთეკარი
სს „ვითიზი ბანკი ჯორჯია“
კორპორატიული ბიზნესის დირექტორი
<i>[Handwritten Signature]</i>
ვ. რობაქიძე

მესაკუთრე
საქართველოს ეროვნული ბანკი
აღმასრულებელი დირექტორი
<i>[Handwritten Signature]</i>
ვ. ბურკიაშვილი





საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-14/2934

2934-14-2-201907261117

26/07/2019




მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელ დირექტორს - ვახტანგ ბურკიაშვილს (პ/ნ: 01013014896), მიენიჭოს საქართველოს ეროვნულ ბანკსა (ს/კ: 203824148) და შპს „სითი ცენტრს“ (ს/ნ: 204573185) შორის გასაფორმებელ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე (ქ. თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033, მდებარე ქონების გადაცემაზე, საერთო ფართობი 8779.00 კვ.მ.), ასევე სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიასთან“ გასაფორმებელ იპოთეკის ხელშეკრულებაზე და ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებისა და დოკუმენტაციის რეგისტრაციისა და სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოში წარდგენის უფლებამოსილება.

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი





N 2-14/2082

2082-14-2-202007221842

22/07/2020



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელს,
არჩილ კაიკაციშვილს
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. N12
ელ. ფოსტა: pryoungbarristers@gmail.com;
pryoungbarristers@yahoo.com
ტელ: 599 291202

ბატონო არჩილ,

საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილ თქვენს 2020 წლის 8 ივლისის წერილთან დაკავშირებით, პუნქტობრივი გამოხმაურებით, გაცნობებთ შემდეგს:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - სებ) მიერ კომპანია GLMV Architecture Inc-ისთვის თანხის გადახდა არ განხორციელებულა და არც იგეგმება, ვინაიდან, 2019 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული N302/30 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეწყდა და მხარეებს ერთმანეთის მიმართ ვალდებულებები არ გააჩნიათ.
2. დღეის მდგომარეობით სებ-ის მიერ შპს „სითი ცენტრთან“ 2019 წლის 26 ივლისს გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედი არ არის. სებ-მა თავისი პოზიცია ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შპს „სითი ცენტრს“ 2020 წლის 25 თებერვალს აცნობა.
3. ამა წლის 25 თებერვლის სებ-ის საბჭოს გადაწყვეტილებით დაიწყო შპს „სითი ცენტრი“-სათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების დაბრუნების პროცესი.
4. დღევანდელი მდგომარეობით სებ-ი არ ფლობს ისეთ საჯარო ინფორმაციას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა იპოთეკის საგნის დაცულობას.
5. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში სებ-ი განიხილავს ყველა იმ საჭირო დონისძიებების განხორციელებას, რამაც ორგანიზაციის თანამშრომლები შესაბამისი სამუშაო გარემოთი უზრუნველყოს.

პატივისცემით,

გიორგი მიგუაშვილი

დეპარტამენტის უფროსი





N 2-14/1473

1473-14-2-202006051454

05/06/2020



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელს არჩილ კაიკაციშვილს

მის: ქ. თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. N12

ტელ: 599291202

ელ. ფოსტა: kaikatsishvili@yahoo.com

pryoungbarristers@gmail.com

pryoungbarristers@yahoo.com

ბატონო არჩილ,

თქვენი 2020 წლის 04 მაისით დათარიღებული საჯარო ინფორმაციის დამატებით უზრუნველყოფის შესახებ N ა.ა.#135 მომართვის პასუხად, გეგზავნებთ GLMV Architecture Inc.-თან 2019 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ასლი (დანართი N1).

აგრეთვე, გიგზავნით საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის ახალი შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირთა ჩამონათვალს მათი სრული დასახელებით, საიდენტიფიკაციო კოდებისა და კონკურსში მონაწილეობის მიღებისას მათ ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების მითითებით (დანართი N2). აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://tenders.procurement.gov.ge/public/?go=315367&lang=ge>

დანართი: 27 ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი ძიგუაშვილი

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი





N 2-14/1191

1191-14-2-202004291808

29/04/2020



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელს, არჩილ კაიკაციშვილს
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. N12
ტელ: 599291202

ელ. ფოსტა: kaikatsishvili@yahoo.com
pryoungbarristers@gmail.com
pryoungbarristers@yahoo.com

ბატონო არჩილ,

საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში - „სებ“) თქვენ მიერ წარმოდგენილ 2020 წლის 16 აპრილის N127 წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

როგორც 2019 წლის 27 სექტემბრის N2-14/3742 წერილით გეცნობათ, სებ-ის მიერ გამოცხადებული იყო კონკურსი (საკონკურსო განცხადების ნომერი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში: CNT190000096) ახალი საოფისე შენობის პროექტირებაზე. აღნიშნული კონკურსის შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება გამარჯვებულ ამერიკულ კომპანიასთან GLMV Architecture Inc. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მომსახურების ორ ეტაპად განხორციელებას: პირველი ეტაპი - წინასაპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები და ღონისძიებები, კერძოდ, გეგმარებითი დავალების და განაშენიანების რეგულირების გეგმის („გრგ“) პროექტის შემუშავება და მისი ქ. თბილისის მერიაში (შემდგომში „უფლებამოსილი ორგანო“) დასამტკიცებლად წარდგენა და მეორე ეტაპი - პირველი ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ, შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება (მუშა პროექტი). ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა სებ-ის მიერ მისი ცალმხრივად შეწყვეტის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული „გრგ“ არ იქნებოდა გაცემული 2020 წლის 26 თებერვლამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის N20.179.212 განკარგულების თანახმად (იხ. დანართი), უარი ეთქვა ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.15.03.002.033) საზოგადოებრივ-საქმიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონებას. შესაბამისად, ხელშეკრულება შეწყდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტენდერი სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე აღარ გამოცხადებულა.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი ძიგუაშვილი



დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი



უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

2019 წლის 26 ივლისი

ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის - ვახტანგ ბურკიაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „სითი ცენტრი“, (ს/ნ: 204573185) წარმოდგენილი მისი დირექტორის - გიორგი შეყრილაძის (პ/ნ: 01024045352) სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, შპს „სითი ცენტრი“ (ს/ნ: 204573185) (შემდგომში - „გამყიდველი“) პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზაციის შესაბამისად გადასცემს საქართველოს ეროვნულ ბანკს (შემდგომში - „მყიდველი“) საკუთრებაში უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033, მდებარე ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, (ნაკვ. N001/014); ქალაქი თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, სტალინის სახელობის სანაპირო N1 (რესტორან „არაგვის“ მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი N2/20); ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, სტალინის სახელობის სანაპირო N1 (რესტორან არაგვის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი N2/21) - საერთო ფართობით: საერთო ფართობით 8779.00 კვ.მ. (შემდგომში - ქონება).

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტში მითითებულ ქონებაზე „გამყიდველის“ საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანდართული ამონაწერით.

მუხლი 2. ქონების საფასური და მისი გადახდის წესი

2.1. „მყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ქონების საფასური, ქონების ღირებულების შესაბამისად - 8,427,840 (რვა მილიონ ოთხას ოცდაშვიდი ათას რვაას ორმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

2.2. „გამყიდველი“ აცნობიერებს და ეთანხმება, რომ „მყიდველის“ მიერ ქონების შეძენის მიზანია მასზე სათაო ოფისის აშენება, რისთვისაც, მათ შორის, საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში „უფლებამოსილი ორგანო“) მხრიდან მიღებულ იქნეს ნებართვა ქონებაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში „გრგ“) დამტკიცების თაობაზე ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (შემდგომში - „გაკ“), რომელიც უფრო ადრე მიიღება, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით მიზანს და პირობას.

2.3. ქონების საფასურის გადახდის პირობა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მყიდველის“ მიერ 8,427,840 (რვა მილიონ ოთხას ოცდაშვიდი ათას რვაას ორმოცი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა (გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით) განხორციელდეს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან ერთ-ერთი ნებართვის, „გრგ“-ს ან „გაკ“-ის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

2.4. ქონების საფასურის გადახდა განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით - ა/ა GE68VT6600000014863602 სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

მუხლი 3. ქონების საგნის მყიდველის საკუთრებაში გადასვლა

3.1. ქონების საგნის მყიდველის საკუთრებაში გადასვლა მოხდება ამ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ქონებაზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე.

3.2. „გამყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

3.3. ამ ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების გაფორმების დღეს ან მეორე სამუშაო დღეს.

მუხლი 4. ხელშეკრულების არსებითი პირობები

4.1. „მყიდველი“ აცნობიერებს, რომ ქონება გამოყენებული იქნება გამყიდველის მიერ თავისი სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და სესხს აიღებს აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ 1 (თვის) ვადაში სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ში.

4.2. ამ მუხლით გათვალისწინებული ქონება უნდა იქნეს ერთჯერადად გამოყენებული მხოლოდ 2,106,960 (ორი მილიონ ას ექვსი ათას ცრაას სამოცი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტი ლარის (გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით) მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული სასესხო ვალდებულებების ფარგლებში და „მყიდველი“ იღებს ვალდებულებას გასცეს შესაბამისი თანხმობა/ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს ქონების იპოთეკით დატვირთვაზე. იმ შემთხვევაში, თუ „მყიდველის“ მხრიდან ვალდებულების შესრულების მომენტში „გამყიდველის“ ამ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებულ ანგარიშზე ვრცელდება ინკასო/ყადალა ან რაიმე სახის შეზღუდვა, „მყიდველი“ იტოვებს უფლებას, გამყიდველთან შეუთანხმებლად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“-თან შეთანხმებულ სხვა ანგარიშზე განახორციელოს ნასყიდობის საგნით უზრუნველყოფილი კრედიტის დაფარვა, ხოლო ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილი მიმართული იქნება „გამყიდველის“ ანგარიშზე.

4.3. იმ შემთხვევაში თუ მყიდველმა, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 თვის ვადაში ვერ მიიღო უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული „გრგ“ ან „გაპ“-ი, ერთ-ერთი მანძ, ქონება დაუბრუნდება გამყიდველს თავისივე ხარჯით ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, 4.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების გარდა. ამ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მოიპოვოს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს თანხმობა აღნიშნულის განხორციელებაზე წერილობითი ფორმით. ეს პირობა გათვალისწინებული უნდა იქნეს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-სა და გამყიდველს შორის გაფორმებულ საკრედიტო დოკუმენტაციაში.

4.4. იმ შემთხვევაში თუ „მყიდველმა“ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამატებითი მოთხოვნების დაწესების გამო ვერ განახორციელა ამ მუხლის 4.3. პუნქტით დადგენილ 7 თვის ვადაში „გრგ“-ს ან „გაპ“-ის მიღება, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ვადა გაგრძელდება გონივრული ვადით, რომელიც დამოკიდებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამატებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

4.5. ამ ხელშეკრულების 2.3. და 2.4. პუნქტის შესაბამისად, ქონების საფასურის გადახდის შემდგომ, „გამყიდველი“ ვალდებულია გაითვალისწინოს და უზრუნველყოს მყიდველის ქონებაზე ამ მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად რეგისტრირებული იპოთეკის მოხსნა 3 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვალდებულება გათვალისწინებული უნდა იქნეს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ და გამყიდველს შორის გაფორმებულ საკრედიტო დოკუმენტაციაში და ბანკმა წერილობითი ფორმით უნდა გასცეს შესაბამისი თანხმობა.

4.6. ამ ხელშეკრულების 2.4. პუნქტში მითითებული ანგარიში სავალდებულოა, რომ იყოს ამ ხელშეკრულების 4.1. პუნქტში გათვალისწინებულ სესხის გამცემ კომერციულ ბანკში გახსნილი.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. „მყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების ნასყიდობის საფასური წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.2. „გამყიდველი“ ვალდებულია მითითებული ქონება გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში.

5.3. „გამყიდველი“ ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, ასევე იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე იპოთეკით დატვირთვის/მოხსნის რეგისტრაციის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

5.4. მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, სრულად და დროულად შესრულება.

5.5. „გამყიდველი“ აცნობიერებს და ეთანხმება, რომ „გრგ“-ს ან „გაპ“-ის მისაღებად ითანამშრომლებს „მყიდველთან“, მათ შორის, „მყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწვდის შესაბამის დასკვნებს/კვლევებს, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებობდა. „გამყიდველი“ უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი დასკვნების/კვლევების საფასურის 50%-ის მყიდველის მხრიდან ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი „მყიდველს“ წარუდგენს შესაბამისი გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

5.6. „მყიდველის“ საჭიროების და მოთხოვნის საფუძველზე, „გრგ“-ს ან „გაპ“-ის გაცემის უფლებამოსილი ორგანოსგან შესაბამისი თანხმობის მოპოვების პროცესი შეიძლება წარიმართოს როგორც ერთობლივად („გამყიდველთან“ ერთად), ასევე ცალ-ცალკე. მხარეები მაქსიმალურად ეცდებიან ხელი შეუწყონ ერთმანეთს შესაბამისი ნებართვის მიღებაში, კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ასევე ქონების ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილები არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება და დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

6.2. იმ შემთხვევაში თუ „გამყიდველმა“ არ შეასრულა ამ ხელშეკრულების 4.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, „გამყიდველს“ დაერიცხება პირგასამტეხლო ნასყიდობის საფასურის 0.01%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3 იმ შემთხვევაში თუ „მყიდველმა“ არ შეასრულა ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, „მყიდველს“ დაერიცხება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.4 იმ შემთხვევაში თუ „მყიდველი“ არ დაიწყებს „გრგ“-ს ან „გაპ“-ის მიღების პროცედურებს ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ გონივრულ ვადაში, იგი პირგასამტეხლოს სახით გადაიხდის 2.3 განსაზღვრული თანხის 5%-ს.

მუხლი 7. განცხადებები და გარანტიები

7.1 მხარეები აცხადებენ და გარანტიას იძლევიან, რომ გააჩნიათ ყველა კორპორაციული/მმართველობითი ორგანოების თანხმობა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე.

7.2 მხარეები ადასტურებენ რომ მათ მიერ მიერ ამ ხელშეკრულების დადებისთვის გამოხატული ნება არის ნამდვილი და მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, საჯარო წესრიგის მოთხოვნებს და მესამე მხარეს არ გააჩნია შეცილების უფლება.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა) ზეგავლენით, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს.

მუხლი 9. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება და ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ან ეხება წინამდებარე ხელშეკრულებას, მის საგანს ან არსებობას (მათ შორის არასახელშეკრულებო დავები ან მოთხოვნები) რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 მხარეები შეუქცევადად თანხმდებიან, რომ თუ მოლაპარაკების გზით მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, ნებისმიერი დავა ან მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ან ეხება წინამდებარე ხელშეკრულებას, გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს სასამართლოებში.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე შეთანხმების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.2. შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის შემდეგ და შედგენილია ქართულ ენაზე, 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს ეროვნული ბანკი

ვახტანგ ბურკიაშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკის
აღმასრულებელი დირექტორი



შპს „სითი ცენტრი“ (ს/ნ: 204573185)

გიორგი შეყრილაძე

დირექტორი

საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის ახალი შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა:

1. შპს „დეფანი არქიტექტურა“

ს/კ: 404967595

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის სახელწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ კომპანიის პროფაილში, თუმცა კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა რომ კომპანიის დირექტორი არის **ქეთევან ასათიანი**.

2. შპს ქალაქპროექტი

ს/კ: 205266460

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის სახელწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ კომპანიის პროფაილში, თუმცა კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა რომ კომპანიის გენერალური დირექტორი არის **მანუჩარ მახათაძე**.

3. შპს ნს სტუდიო

ს/კ: 404496933

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი: დირექტორი - **ლუკა ჩაგანავა**.

4. შპს არტსტუდიო-პროექტი

ს/კ: 204489393

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი: დირექტორი - **ირენე სკალვინი**.

5. GLMV Architecture Inc.

ს/კ: 0305441

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია მოცემული არ არის სახელწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ კომპანიის პროფაილში, თუმცა კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა რომ კომპანიის დირექტორი არის - **მარკ დ. მაკკლაგიჯი**.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 20.179.212 19 / თებერვალი / 2020 წ.

ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033) საზოგადოებრივ-საქმიანი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონებაზე უარის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 23 დეკემბერს N01193573222-67 განცხადებით მიმართა კობა გვენეტაძემ (პ/ნ 01006001061) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქალაქი თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თამარ მეფის ხიდსა და ძველი რესტორანი „არაგვის“ მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე და წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ნაწილს. საპროექტო არეალი და მის ირგვლივ ტერიტორია გაუნაშენიანებელია. საპროექტო არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხდება ინტენსიური მოძრაობით დატვირთული მაგისტრალის („მტკვრის მარჯვენა“) საშუალებით. მიუხედავად ამისა, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ არსებობს არც ფეხით მოსიარულთათვის (ტროტუარები, მიწისზედა და მიწისქვედა გადასასვლელები) და არც საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. ამასთანავე, საპროექტო ტერიტორია არ არის უზრუნველყოფილი საინჟინრო ინფრასტრუქტურით.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.15.03.002.033 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში (ისტ-2). „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც ავთენტური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები ან/და ცალკეული ძეგლები, კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური განაშენიანება. განაშენიანების რეგულირების ზონა შეიძლება ასევე იყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სხვა ზონის ბუფერული ზონა.

საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება გეოდინამიკური საფრთხეების ზონირების რუკა და აღნიშნულის შესაბამისად, ხდება მაღალი საშიშროების მქონე არეალში. ეს კი წარმოადგენს ისეთ ტერიტორიას, სადაც რელიეფი დახრილია (20⁰-ზე მეტი) და ძლიერ დანაწევრებული, ამგები გრუნტები სხვადასხვა მზიდი თვისებებით გამოირჩევიან და ქანების წოლის ელემენტები ძირითადად თანხვედრილია ფერდობების დახრილობის მიმართულებებთან, წყალსადინარების ჭალა-კალაპოტის (მათ შორის დატბორვის) ზონები და გამოირჩევიან სტიქიური პროცესების მასშტაბური განვითარებით.

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, იგეგმება ტერიტორიის საზოგადოებრივ-საქმიანი კომპლექსით (ეროვნული ბანკის სათაო ოფისის) განვითარება. საპროექტოდ გათვალისწინებულია 9 სართულიანი (42მ.) ოფისის განთავსება, მიწისქვეშა 2 სართულიანი პარკირებით, რომელიც გათვლილია 200 ავტომანქანაზე, ხოლო მიწისზედა 30 ავტომანქანაზე გათვლილი პარკირებით. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით წარმოდგენილი არ არის განაშენიანების ინტენსივობისა (კ-1) და გამწვანების კოეფიციენტი (კ-3). ხოლო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განსაზღვრულია: კ-2=2.1; საანგარიშო ფართობი: 19 020 მ².

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის



№14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული, ხოლო დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში - ასევე სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სამსახურის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 თებერვლის N0120038127 წერილის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ არის და არც სამომავლოდ იქნება მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს დაგეგმილი ფუნქციებისა და ინტენსივობის შესაბამისი საზოგადოებრივი ტრანსპორტით (მეტრო, მაღალი ინტენსივობის სატრანსპორტო საზოგადოებრივი ტრანსპორტი (BRT)) მომსახურებისა და ქვეითისათვის მარტივად მისადგომობის მოთხოვნას, რაც მოდალურ განაწილებაში გამოიწვევს (მგზავრობების საერთო რაოდენობაში ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის წილი) ინდივიდუალური მგზავრობების მაღალ წილს. ტერიტორიის მოთხოვნილი ფუნქციით განაშენიანების შემთხვევაში გაიზრდება საავტომობილო/სამანქანო ნაკადები, რაც უარყოფითად იმოქმედებს მიმდებარე კვანძზე, კერძოდ, სავრძობლად გადაიტვირთება გმირთა მოედნის ტერიტორია და მიმდებარე ქუჩათა ქსელთან დამაკავშირებელი კვანძები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით მიმავალ სატრანსპორტო ნაკადებს ანაწილებს. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 26 დეკემბრის N01193601653 წერილის შესაბამისად, ხარვეზების აღმოფხვრამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი განვითარება (რაციონალიზაცია, ინტენსივობის-სიმჭიდროვის ზრდა) დასაშვებია, მხოლოდ არსებული საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დოკუმენტურად დადასტურებული შესაბამისობის ან გაუმჯობესების პირობებში.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბუნებრივ ლანდშაფტში და წარმოადგენს ქალაქის ისტორიულ ნაწილს, სადაც მსგავსი სახით ჩარევა და დომინანტური მოცულობების გაჩენა შეიტანს დისბალანსს, ხელს შეუშლის და დააკნინებს ბუნებრივი ლანდშაფტის და მასზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღქმას, რაც, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიზანშეწონილი არ არის. გასათვალისწინებელია საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ, 40 მეტრით შემალლებულ გორაკზე არსებული არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მქონე ცირკის შენობა, რომლის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს მომიჯნავედ ჩამოყალიბებული ლანდშაფტი. აღნიშნული კომპლექსი თავისი მდებარეობიდან გამომდინარე აღქმადია მდინარე მტკვრის ხეობიდან, თამარ მეფის ქუჩიდან, გმირთა მოედნიდან და მარცხენა სანაპიროს ზემო ტერასებიდან.

შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ცირკის შენობის ფიზიკური და ვიზუალური აღქმის არეალში მსგავსი თვითმიზნური ფორმის და მოცულობის განთავსება არ არის მიზანშეწონილი, რასაც ადასტურებს ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2020 წლის 30

იანვრის N4 ოქმი, რომლის თანახმადაც უარი ეთქვა ანაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის დაცვის არეალსა და ლანდშაფტურ გარემოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვები არ არის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ N01193573222-67 განცხადებაზე მომზადებული დასკვნის საფუძველზე,


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. უარი ეთქვას ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033) საზოგადოებრივ-საქმიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონებას.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

www.barristers.ge

ა.ა.#213

19 03 1-013/11254 13
2

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტს, ბატონ კობა გვენეტაძეს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები“
თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12


მ ი მ ა რ თ ვ ა

(საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ)

ბატონო კობა,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. სეზ-ის მიერ გამოქვეყნებული ტექნიკური დავალების დოკუმენტი, რომელიც შეეხება სეზ-ის ახალი სათაო ოფისის მშენებლობის საორგანიზაციო და ფინანსურ საკითხებს;
2. ინფორმაცია, გამოვლინდა თუ არა ობიექტის მშენებარე კომპანია (ჯგუფი). ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოგვაწოდეთ ინფორმაცია მშენებარე კომპანიის (ჯგუფის) დასახელების, გამოვლენის თარიღისა და ს/კ-ის შესახებ;
3. ინფორმაცია, რა საფუძველზეს ეყრდნობა სეზ-ის ახალი სათაო ოფისის მშენებლობის გადაწყვეტილება? არის თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული და რა ფორმით?
4. ვინ დააფინანსებს საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის მშენებლობას?
5. რა მისამართზე აშენდება საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისი?
6. ინფორმაცია, მიწის ფართობის ოდენობა, რომელიც შეძენილ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის მშენებლობისთვის.



Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

www.barristers.ge

7. ინფორმაცია, რა ტიპის ხელშეკრულება გაფორმდა ჰოლდინგურ კომპანია „ლოიალ კაპიტალ გრუპში“ შემავალ შპს „სითი ცენტრთან“, როდის გაფორმდა, სამშენებლო მიწის ნაკვეთის შესაძენად?
8. ინფორმაცია, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ჰოლდინგურ კომპანია „ლოიალ კაპიტალ გრუპში“ შემავალ შპს „სითი ცენტრთან“ მიწის ნაკვეთის შეძენის ნასყიდობის ფასის ოდენობის თაობაზე? ამასთან, ინფორმაცია, მოხდა თუ არა სებ-ის ბიუჯეტიდან დასახელებული ნასყიდობის ღირებულების დაფარვა?
9. ინფორმაცია, სებ-მა ახალი ოფისის მშენებლობისთვის, მიწის ნაკვეთის შეძენისთვის, გამოაცხადა თუ არა ტენდერი ან/და რა ფორმით მოხდა ნასყიდობის განხორციელება. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის შეძენისთვის, არ მომხდარა ტენდერის გამოცხადება, გააჩნდა თუ არა სებ-ს ტენდერის გამოცხადების ვალდებულება. გთხოვთ, წარმოადგინოთ სამართლებრივი დასაბუთება აღნიშნულზე.
10. რამდენი თანამშრომელია ამჟამად დასაქმებული საქართველოს ეროვნულ ბანკში?
11. მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწედეთ პუნქტობრივი გამოხმაურებით, გინივრულ ვადებში.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი

„ახალგაზრდა ადვოკატების“

ხელმძღვანელი

18 სექტემბერი, 2019 წ.

ქ. თბილისი



N 2-14/3742

3742-14-2-201909271359

27/09/2019



ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელს, არჩილ კაიკაციშვილს
მის: ქ. თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. N12

ბატონო არჩილ,

საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში „სებ“) თქვენ მიერ წარმოდგენილ 2019 წლის 18 სექტემბრის N213 წერილთან დაკავშირებით, გიგზავნით პასუხს პუნქტობრივი გამოხმაურებით:

1. გთხოვთ, სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ტექნიკური დავალების დოკუმენტი იხილოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე - <https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=que&file=624075&code=1566228779>). აღნიშნულ დოკუმენტს ასევე გიგზავნით თანდართული სახით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, შეგიძლიათ, იხილოთ, შემდეგი ელექტრონული მისამართები: <https://tenders.procurement.gov.ge/#> ტენდერის ნომერი - SPA190004197 (საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სათაო ოფისის პროექტირების პროცესისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა) და <https://tenders.procurement.gov.ge/#> კონკურსის ნომერია - CNT190000096 (საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისის ახალი შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურების შესყიდვა).

2. სებ-ის სათაო ოფისის მშენებარე კომპანია არ გამოვლენილა. ამჟამად გამოცხადებულია კონკურსი ობიექტის პროექტირებაზე. ელექტრონული ტენდერი მშენებლობაზე გამოცხადდება კონკურსში გამარჯვებული კომპანიის მიერ ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (პროექტის) დამუშავების შემდეგ (სავარაუდოდ - 12 თვე).

3. სებ-ის სათაო ოფისის მშენებლობის გადაწყვეტილება მიღებულია სებ-ის საბჭოს მიერ, რომელიც დაეყრდნო სებ-ის საზედამხედველო მანდატის გაფართოებას და სხვა მნიშვნელოვან საფუძვლებს. სებ-ს არ გააჩნია აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების ვალდებულება, ვინაიდან „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი

პუნქტის შესაბამისად, სებ-ი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა საქართველოს კონსტიტუციითა და ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სებ-ი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს. შესაბამისად, სებ-ის სათავო ოფისის მშენებლობის დაფინანსების წყარო სებ-ის სახსრები იქნება.

5. სებ-ის სათავო ოფისის მშენებლობისთვის შერჩეული ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, (ნაკვ. N001/014); ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, სტალინის სახელობის სანაპირო N1 (რესტორან „არაგვის“ მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი N2/20); ცირკსა და ყოფილ რესტორან „არაგვს“ შორის, სტალინის სახელობის სანაპირო N1 (რესტორან არაგვის მიმდებარე ტერიტორია), (ნაკვეთი N2/21).

6. სებ-ის მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 8 779. 00 კვ.მ.-ს;

7. სებ-ის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით შპს „სითი ცენტრთან“ 2019 წლის 26 ივლისს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება.

8. ნასყიდობის ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8,427,840.00 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. სებ-ის ბიუჯეტიდან აღნიშნული თანხის გადახდა, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ამ ეტაპზე არ განხორციელებულა.

9. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე. აქედან გამომდინარე, სებ-ს არ გააჩნდა მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით ტენდერის გამოცხადების ვალდებულება.

10. სებ-ში ამჟამად 506 (ხუთას ექვსი) თანამშრომელია დასაქმებული.

პატივისცემით,


თორნიკე ებანოიძე



განყოფილების უფროსი

სამართალშემოქმედების და სასამართლოებში წარმომადგენლობის განყოფილება






Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

www.barristers.ge

ა.ა.#177



საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტს, ბატონ კობა გვენეტაძეს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები“
თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12

მიმართვა

(ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ)

ბატონო კობა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ სწავლობს სეზ-ის ახალი შენობის მშენებლობასთან დაკავშირებულ გარიგებების სამართლებრივ შინაარსს, რის გამოც, სეზ-დან მიღებულ იქნა პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ინფორმაცია, ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 19 თებერვლის განკარგულების საფუძველზე, დამტკიცებული არ იქნა „გრგ“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2019 წლის 28 ნოემბრის ხელშეკრულების თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით, მოხდა თუ არა კომპანია GLMV ARCHITECTURE INC-თან პირველი ეტაპის ღირებულების - 82,600.00 ლარის გადახდა. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ გადახდის თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ გადახდა დღევანდელი მდგომარეობით არ მომხდარა, გთხოვთ, განმარტოთ, როდისაა ნაგარაუდები სეზ-ს მხრიდან გადახდის უზრუნველყოფა?
- ინფორმაცია, დღევანდელი მდგომარეობით, მოქმედია თუ არა საქართველოს ეროვნულ ბანკსა და შპს „სითი ცენტრს“ შორის 2019 წლის 26 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება? ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში, გთხოვთ მიგვითითოთ გაუქმების კონკრეტული თარიღი.
- ინფორმაცია, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და შპს „სითი ცენტრს“ შორის 2019 წლის 26 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 ნაწილის თანახმად, სეზ-ის მხრიდან განხორციელდა თუ არა ხელშეკრულების საგნის გადაცემა (დაბრუნება) შპს

Tbilisi, Georgia, Zurab Chavchavadze str. #12

pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 599 291202



Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"


www.barristers.ge

„სითი ცენტრის“ მიმართ. ასეთი შემთხვევის არსებობისას, გთხოვთ, მიგვითითოთ უძრავი წივთის დაბრუნების თარიღი.

- ინფორმაცია, 2019 წლის 29 ივლისის ს.ს. „ვითიბი ბანკ ჯორჯიასა“ და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე, დღევანდელი მდგომარეობით, რამდენად უზრუნველყო შპს „სითი ცენტრმა“ სესხის მომსახურების პირობებისა და ვალდებულებების შესრულება, რამდენად იქნა დაცული იპოთეკის საგანი?
- ინფორმაცია, დღევანდელი მდგომარეობით, რა ალტერნატიული გეგმა და მოქმედება არსებობს სეზ-ის ახალი ოფისის მშენებლობაზე?


გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ გონივრულ ვადებში, დასმულ შეკითხვებზე გვიპასუხოთ პუნქტობრივად.

პატივისცემით,
არჩილ კაიკაციშვილი



„ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელი

08 ივლისი, 2020 წ.
ქ. თბილისი



ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

State Procurement Agreement

ქ. თბილისი 28 ნოემბერი, 2019 წელი

Tbilisi 28 November, 2019

შემსყიდველი: სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“,
პრეზიდენტის კობა გვენეტაძის სახით;
მისამართი: თბილისი, 0114, სანაპიროს ქ. N2;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203824148.

Purchaser: LEPL "National Bank of Georgia", represented
by the Governor, Koba Gvenetadze;
Address: 2, Sanapiro Street, 0114, Tbilisi
Identification code: 203824148.

მიმწოდებელი: კომპანია GLMV Architecture Inc.,
პრეზიდენტის/ადმსრულებელი დირექტორის მარკ დ.
მაკკლაგიჯის სახით;
იურიდიული მისამართი: აშშ, კანზასის შტატი, 66603, ქ.
ტოპეკა, 112 სამხრეთ დასავლეთი მე-7 ქუჩა 3C,
ელ. ფოსტა: mark.mccluggage@glmv.com
საიდენტიფიკაციო კოდი: 0305441
საბანკო რეკვიზიტები: Intrust Bank;
P.O. Box 1; Wichita, KS 67201;
Routing: 101100029; Account:
98645410

Supplier: Company GLMV Architecture Inc., represented
by its President/CEO Mark D. McCluggage;
Legal address: 7th South West Street 112, 3C, Topeka, State
of Kansas, 66603, USA
Email: mark.mccluggage@glmv.com
Identification code: 0305441;
Bank details: Intrust Bank;
P.O. Box 1; Wichita, KS 67201;
Routing: 101100029; Account: 98645410

ერთის მხრივ, შემსყიდველი და მეორეს მხრივ, მიმწოდებელი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული კონკურსის (საკონკურსო განცხადება # CNT 190000096) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

Based on the Law of Georgia "On State Procurements" and Supplier's Bid, and in accordance with the terms of Electronic Contest (Contest Announcement No: CNT 190000096) Purchaser on the one part and Supplier on the other part, enter into this State Procurement Agreement and agree on following:

1. ხელშეკრულების საგანი

1. Subject of the Agreement

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სათაო ოფისის შენობის („ობიექტი“) მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება (შემდგომში „მომსახურება“), ტექნიკური დავალებისა (დანართი N1) და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად (CPV კოდი – 71242000).
- 1.2. დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

- 1.1. Subject of this Agreement is to process the design and cost-estimate documentation for construction of the new office building of the National Bank of Georgia ("Facility") (hereafter "Service") in accordance with the Terms of Reference (Annex No. 1) and the terms and conditions of the Agreement (CPV code – 71242000).
- 1.2. The Annex No. 1 is the integral part of the present Agreement.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2. Compliance of performance of the Agreement

- 2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან, კერძოდ გასაწევი/გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და

- 2.1. The Purchaser shall be authorized to exercise control at any stage of performance of the Agreement which aims to establish compliance of Service with the terms and conditions envisaged by the Agreement and the Purchaser's requirements, in particular, establishing the relevance of the volume, quality and terms of the services to be

შესრულების ვადების ხელშეკრულებების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

- 2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის უფლებამოსილი პირები, მათ შორის: საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირი/პირები და 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N243/30 ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტირების პროცესის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი - შპს „სიემსი“.
- 2.3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლისთვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. კონტროლის განხორციელების ხარჯებს უზრუნველყოფს თავად შემსყიდველი ორგანიზაცია.
- 2.4. ზემოთ აღნიშნული კონტროლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზი/დეფექტი/ნაკლი ფიქსირდება 2.2 პუნქტში მითითებულ პირთა მიერ შედგენილ ინსპექტირების აქტში, სადაც მითითებული იქნება ამ ხარვეზის/დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრის კონკრეტული გონივრული ვადები.
- 2.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა ინსპექტირების აქტით განსაზღვრულ ვადებში.

3. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

- 3.1. მომსახურება გაწეული იქნება ეტაპობრივად (2 ეტაპად) „ტექნიკურ დავალებაში“ (დანართი N1) მოცემული პირობების და ვადების შესაბამისად, თბილისში.
- 3.2. მომსახურება ან მისი ნაწილი (პირველი და/ან მე-2 ეტაპით გათვალისწინებული მომსახურება) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 3.3. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველი იქნება ცალსახად დადებითი საექსპერტო დასკვნა, რომელსაც შემსყიდველის დაკვეთით განხორციელებული ექსპერტიზის შედეგად, გასცემს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიურო, ან

rendered/rendered with the requirements of the Agreement.

- 2.2. Control envisaged by paragraph 2.1 of the Agreement shall be exercised by authorized persons of the Purchaser, including: Head of Procurement and Logistics Department of the National Bank of Georgia and/or its authorized person/persons and the person responsible for supervision of the design process in accordance with the State Procurement Contract No. 243/30 executed on September 23, 2019, namely - CMC Ltd.
- 2.3. The supplier is obliged to provide the allocation of the personnel and the technical means required for the control of the fulfillment of the terms of the Agreement with his own resources, as well as to provide the necessary working conditions. The costs for control implementation are provided the procuring organization itself.
- 2.4. The deficiency/defect detected as a result of the above control shall be recorded in the inspection act made by the persons specified in paragraph 2.2 where reasonable timeframes of elimination of this deficiency/defect will be specified.
- 2.5. The Supplier shall be obliged to ensure elimination of all deficiencies/defects detected as a result of control at its own expense within the timeframes defined by the inspection act.

3. Procedure of delivery and acceptance of Services

- 3.1. The Services shall be provided stage by stage (in 2 stages) in accordance with the conditions and timeframes specified in the Terms of Reference (Annex No. 1) in Tbilisi.
- 3.2. Services or their part (the service considered by the first and/or the 2nd stage) shall be deemed accepted only after signing the respective Acceptance Certificate by authorized persons defined by the parties.
- 3.3. The basis for signing the final Acceptance Certificate shall be the positive expert conclusion which shall be issued by LEPL Levan Samkharauli Forensic Expertise Bureau or other duly

სხვა სათანადოდ უფლებამოსილი/აკრედიტირებული პირი.
3.4. შემსყიდველის მხრიდან აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტზე/აქტებზე ხელმომწერი პირია საქართველოს ეროვნული ბანკის შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფასები მოცემულია დანართში N2-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 2,537,000.00 (ორი მილიონ ხუთას ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარს („ხელშეკრულების ფასი“), მათ შორის 387,000.00 (სამას ოთხმოცდაშვიდი ათასი) ლარი უკუდაბეგვრის დღგ (18%);

4.3. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მომსახურების გაწევისათვის აუცილებელ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს

4.4. გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით.

4.5. გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ქვემოთ მოცემული გრაფიკის მიხედვით:

- პირველი ეტაპის ღირებულება - შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, გადახდილი ავანსის (არსებობის შემთხვევაში) პროპორციული დაქვითვით;
- მე-2 ეტაპის ღირებულება - ეტაპის ღირებულების 80%, გადახდილი ავანსის (არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით, მე-2 ეტაპით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ჩაბარების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;
- საბოლოო ანგარიშსწორება - საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.6. ანაზღაურება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებიდან და მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის (ანგარიში, საგადასახადო ა/ფაქტურა, ინვოისი) წარმოდგენიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

authorized/accredited person as a result of the expertise made at the request of the Purchaser.

3.4. The signatory of the above Acceptance Certificate from the part of the Purchaser shall be the Head of Procurement and Logistics Department of the National Bank of Georgia.

4. Price of the Agreement and payment procedure

4.1. Prices of Services envisaged by this Agreement are provided in Annex No. 2, which represents an integral part of this Agreement.

4.2. Total cost of Services envisaged by this Agreement equals to 2,537,000.00 (two million five hundred thirty seven thousand) GEL ("Price of Agreement"), including 387,000.00 (three hundred eighty seven thousand) GEL of reverse taxation VAT (18%);

4.3. The price of the Agreement includes all the expenses necessary for the service rendering and all the taxes established by the legislation of Georgia.

4.4. The issues concerning the payment of taxes are regulated under the Tax legislation of Georgia.

4.5. The cost of actually provided Services shall be paid in GEL, in non-cash form, in accordance with the schedule provided below:

- Cost of Stage 1 – on the basis of the respective Acceptance Certificate, by proportional deduction of the paid advance amount (if any);
- Cost of Stage 2 – 80% of the cost of the stage, excluding the paid advance (if any), on the basis of the respective Acceptance Certificate confirming delivery of documentation envisaged by Stage 2;
- Final payment – on the basis of the final Acceptance Certificate.

4.6. Payment shall be made no later than 10 (ten) business days after receiving Services or their part in accordance with this Agreement and submission of respective documents (report, tax invoice, invoice) by the Supplier (whichever occurs later).

4.7. დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების ნაწილის (არაუმეტეს 50%-სა) წინასწარ გადახდა, მიმწოდებლის მიერ წინასწარი გადახდის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობით. საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, გადასახდელი ავანსის იდენტურ თანხაზე და მისი მოქმედების ვადა, სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად/უნაკლოდ და კეთილსინდისიერად გაწეული მომსახურება.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია პროექტზე მუშაობის პროცესში მოითხოვოს შემუშავებულ დიზაინში ცვლილების შეტანა და მიმწოდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული შენიშვნები, თუ ამგვარი ცვლილებები არ ცვლის პროექტის კონცეფციას.

5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შემსყიდველის მიერ დადასტურებულ ფაზაში, შემსყიდველის მხრიდან ცვლილების შეტანის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ცვლილების განხორციელებაზე, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ცვლილებები არ გამოიწვევს საპროექტო დოკუმენტაციაში ძირეულ ცვლილებებს.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია:

5.4.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან მომსახურების მე-2 ეტაპის დაწყებამდე მიაწოდოს მიმწოდებელს სრული და დეტალური ინფორმაცია დასაპროექტებელი ობიექტის შესახებ;

5.4.2. დროულად (გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა) და შეუფერხებლად მოახდინოს მიმწოდებლის მიერ შესათანხმებლად მიწოდებული პროექტის სხვადასხვა ნაწილების და მიმართულებების განხილვა/შეთანხმება და, ასევე მომსახურების სრულყოფილად გაწევისთვის საჭირო მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება, თუ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება განეკუთვნება შემსყიდველის კომპეტენციას;

5.4.3. შეძლებისდაგვარად გაუწიოს მიმწოდებელს დახმარება და ხელშეწყობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში პროექტთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში;

4.7. It is allowed to pay part of the Price of Agreement (not more than 50%) in advance, provided that the advance payment bank guarantee is submitted by the Supplier. The bank guarantee shall be unconditional and irrevocable, issued for the amount equal to the payable advance amount and its validity term shall exceed the term of provision of Service by at least 30 days.

5. Rights and obligations of the Parties

5.1. The Purchaser has a right to receive Services provided by the Supplier properly/without defects and in good faith.

5.2. The Purchaser shall be authorized to request making changes to the developed design during working on the design and the Supplier shall be obliged to consider the above comments, if such changes do not change the concept of the project.

5.3. The parties agree that in case of requesting the changes by the purchaser in the phase that already has been approved by the purchaser, the supplier is authorized to refuse to make changes, except the case when the changes asked by the purchaser would not cause the fundamental changes in the project documentations.

5.4. The Purchaser shall be obliged to:

5.4.1. provide the Supplier with full and detailed information about the Facility to be designed from signing the Agreement before commencement of Stage 2 of Services;

5.4.2. review and agree various parts and directions of the design provided by the Supplier for agreement in a timely (reasonable term, but no later than 10 working days) manner and without delay and also the delivery of the information requested by the Supplier which is necessary for the thorough provision of services, if the aforementioned delivery of the information falls within the competence of the purchaser.

5.4.3. as far as possible provide assistance to the Supplier and facilitate it in relations with

- 5.4.4. გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 5.5.1. ჯეროვნად/უნაკლოდ, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.
- 5.5.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში შემუშავებული გეგმარებითი გადაწყვეტები და, ასევე კრეატიული პროდუქტების (რაც გულისხმობს ექსტერიერისა და ინტერიერის მხატვრული სახეს) ვიზუალური მხარე (დიზაინი) შეათანხმოს შემსყიდველთან, რა დროსაც უნდა გაითვალისწინოს შემსყიდველის მოსაზრებები, რჩევები და რეკომენდაციები (მათი არსებობის შემთხვევაში).
- 5.5.3. პროექტის დამუშავების პროცესში, გამოსაყენებელი ტექნოლოგიების, კონსტრუქციების, მასალების, მანქანა-დანადგარების და ა.შ. შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს მშენებლობის ხარჯების ოპტიმიზაციაზე, უსაფრთხოების, ხარისხის და კონკურსზე წარმოდგენილი კონცეფციის და იერსახის მაქსიმალური შენარჩუნებით.
- 5.5.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად ჩატარებული ინსპექტირების/კონტროლის დროს გამოვლენილი ხარვეზები გამოასწოროს მომსახურების გაწევის საბოლოო ვადის გასვლამდე.
- 5.5.5. განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა ობიექტის მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, ტექნიკური დავალების მოთხოვნათა შესაბამისად.
- 5.5.6. ობიექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ წერილობით დაადასტუროს, რომ იგი სრულად შეესაბამება (შესაბამისობის შემთხვევაში) საპროექტო დოკუმენტაციას.

6. საავტორო და მომიჯნავე უფლებები

- 6.1. მხარეები თანხმდებიან, რომ საავტორო უფლებები არქიტექტურულ ნაწარმოებზე „საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ შესაბამისად ეკუთვნის მიმწოდებელს.

administrative bodies in respect to the issues related to the design;

- 5.4.4. pay the cost of actually provided Services to the Supplier in accordance with the terms and conditions envisaged by the Agreement;
- 5.5. The Supplier shall be obliged to:
- 5.5.1. provide Services envisaged by the Agreement to the Purchaser properly/without defects, at agreed time and place.
- 5.5.2. agree the planning solutions and visual aspect (design) of creative products (which means exterior and artistic appearance of the interior) developed within the framework of Services envisaged by this Agreement with the Purchaser and for this purpose compare opinions, advice and recommendations of the Purchaser (if any);
- 5.5.3. upon the selection of the technologies, constructions, materials, machinery-devices, etc. to be used in the process of project development to pay the special attention to the optimization of the expenses of the construction, without affecting security, quality and the concept presented at the competition and by maximum maintenance of the appearance.
- 5.5.4. eliminate the deficiencies detected during inspection/control carried out by the Purchaser in accordance with Article 2 of the Agreement before expiry of the final term of provision of Services.
- 5.5.5. carry out the field supervision in the process of the Facility construction, in accordance with the requirements of the Terms of Reference.
- 5.5.6. after finalization of the Facility construction, confirm in writing that it fully corresponds (in case of correspondence) to the design documentation.

6. Copyright and Allied Rights

- 6.1. The parties agree that the copyrights over the architect works belongs to the supplier in

6.2. მიმწოდებელი აცხადებს წინასწარ, უპირობო, გამოუთხოვად და უვადო თანხმობას, რომ შემსყიდველმა მიმწოდებლის მხრიდან დამატებითი თანხმობის თუ სხვა ფორმალობების გარეშე, თავისი შეხედულებისამებრ:

6.2.1. შეცვალოს შენობის ნებისმიერი დეტალი, გარდა საპროექტო დოკუმენტაციაში ძირეული ცვლილებებისა და ისეთი შემთხვევებისა, როცა იცვლება შენობის პროექტის ექსტერიერის კონცეფცია და ვიზუალური მხარე;

6.2.2. გამოიყენოს შენობის ვიზუალური გამოსახულება ან აღწერა ეროვნულ ბანკთან დაკავშირებულ აუდიოვიზუალურ, ციფრულ, ბეჭდურ და ა.შ., მასალებზე, მიმწოდებლის მითითებით;

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაიმეოროს პროექტის კონცეფცია და ექსტერიერის ვიზუალური მხარე სხვა ნებისმიერი ობიექტის პროექტირებისას.

7. პროექტის მართვა

7.1. მიმწოდებელმა უნდა მართოს პროექტი და კოორდინაცია გაუწიოს პროექტირების პროცესს, რათა უზრუნველყოს პროექტის თითოეული ეტაპის წარმატებულად განხორციელება წინასწარ განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

7.2. მიმწოდებელმა უნდა დანიშნოს მიმწოდებლის წარმომადგენელი, რომელსაც ექნება სამუშაოს მიმდინარეობაზე (პროგრესზე) პასუხისმგებლობა და თანაზომიერი უფლებამოსილება („პროექტის მენეჯერი“). ამ უკანასკნელს ასევე შეუძლია უპასუხოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა კითხვას. დანიშნული პირის ვინაობა (სახელი, გვარი) და კვალიფიკაცია შემსყიდველის წარმომადგენელს უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით.

7.3. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველი მიმწოდებელს აცნობებს შემსყიდველის წარმომადგენლად (შემდგომში „ზედამხედველი“) დანიშნული პირ(ებ)ის ვინაობას.

7.4. პროექტის მენეჯერი ითანამშრომლებს ზედამხედველთან და დაესწრება მის მიერ დაგეგმილ შეხვედრებს მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში შემსყიდველის დახმარებისა და მისთვის რჩევის მიცემის მიზნით.

7.5. მიმწოდებელი თანხმობას აცხადებს და იღებს ვალდებულებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტის მიმდინარეობის მთლიან პერიოდში,

accordance with the “Georgian law on copyright and allied rights”.

6.2. The supplier declares the preliminary, unconditional, irrevocable and perpetual consent for the purchaser without any additional consent or other formalities from the part of the supplier, as he thinks fit:

6.2.1. to change any details of the building, except the fundamental changes in the project documentation and in such cases when the concept of the building project exterior and visual part is changed;

6.2.2. to use the visual appearance and description of the building by indication of the supplier concerning the audio-visual, digital, printing and other materials of the National Bank;

6.3. The supplier is obliged not to repeat the project concept and visual part of the exterior during the designing of any other facilities without the written consent from the purchaser.

7. Project management

7.1. The Supplier shall manage the project and coordinate the design process to ensure successful implementation of each stage of design in accordance with the preliminarily defined timeframes;

7.2. The Supplier shall appoint a representative who will be responsible for progress of works and equal powers ("Project Manager"). The latter can also answer all questions related to the Agreement. The Purchaser's representative shall be notified of the identity (name, surname) and qualification of the appointed person in writing.

7.3. After signing the Agreement, the Purchaser shall notify the Supplier the identity of person(s) appointed as the Purchaser's representative (hereafter "Supervisor").

7.4. Project Manager shall cooperate with the Supervisor and attend the meetings scheduled by him for the purpose of assisting the Purchaser and giving it advice in all issues related to the Services.

7.5. The Supplier agrees and undertakes to ensure that the composition and qualification of the project

პროექტის გუნდის შემადგენლობა და კვალიფიკაცია ნებისმიერ დროს დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაში იქნება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებასთან. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის გუნდის რომელიმე ძირითადი წევრი შეიცვლება ამ მუხლში მითითებული მიზეზების გამო, მიმწოდებელი შემსყიდველთან შეთანხმებს შესაფერისი ჩამნაცვლებლის კანდიდატურას, წარუდგენს რა შემოთავაზებული კანდიდატურის (პროექტის გუნდის წევრის) მონაცემებსა და CV-ს.

7.6. გუნდის წევრების ჩანაცვლება (პროექტის მენეჯერის ჩათვლით, არ შეიძლება პროექტის დასრულებამდე, შემსყიდველის მხრიდან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ა) პირს, რომელიც უნდა ჩანაცვლდეს, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებაში ხელს უშლის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში; ან
- ბ) გუნდის წევრს შეუწყდა დასაქმების ხელშეკრულება; ან
- გ) მიმწოდებელი გადაწყვეტს რომ გუნდის წევრის მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი არაა დაკმაყოფილებელია; ან
- დ) შემსყიდველი მიმწოდებელს წარუდგენს, წერილობით მოთხოვნას კონკრეტული წევრის ჩანაცვლების თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელის ქმედებებმა გამოიწვია ამ ხელშეკრულებით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან მისი მუშაობის შედეგები არაა დაკმაყოფილებელია.

8. ანგარიშგება

- 8.1. მიმწოდებელმა პროექტის განხორციელების პერიოდში უნდა უზრუნველყოს მუდმივი კომუნიკაცია შემსყიდველთან და/ან ზედამხედველთან, პროექტის სტატუსისა და შესრულებული სამუშაოების თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს შემსყიდველს, განსაზღვროს პროექტის მიმდინარე სტატუსი, გაწეული სამუშაოების პროგრესი და შეძლოს დააიდენტიფიციროს მნიშვნელოვანი რისკები.
- 8.2. საჭიროების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობის შესახებ შედგება აქტი/დასკვნა.
- 8.3. შემსყიდველმა, ზედამხედველის მეშვეობით, შეიძლება მოითხოვოს მიმწოდებლისაგან პროექტის

team throughout the project shall meet the requirements of the bidding documents any time and shall be in full compliance with the Supplier's bid. In case any key member of the project team is replaced due to the reasons specified in this Article, the Supplier shall agree the candidate for the substitute with the Purchaser, submitting the data and CV of the offered candidate (project team member).

7.6. Team members (including Project Manager) may not be substituted until the project finalization without preliminary written consent of the Purchaser, except cases when:

- a) the person to be substituted is prevented from performance of obligations connected to the Agreement by long-term poor health condition; or
- b) employment contract was terminated with the team member; or
- c) The Supplier decides that the quality of works performance by the team member is not satisfactory; or
- d) The Purchaser submits a written request for substitution of a specific member to the Supplier because the actions of the latter caused non-performance of obligations undertaken by the Supplier under this Agreement or the results of its work are not satisfactory.

8. Reporting

- 8.1. The Supplier shall ensure permanent communication with the Purchaser and/or Supervisor during the project implementation regarding the project status and performed works, which will allow the Purchaser to identify the current project status, progress of provided works and identify significant risks.
- 8.2. In case of need, an act/conclusion on compliance of the performed works with the Terms of Reference shall be made.
- 8.3. The Purchaser, through the Supervisor, may request the Supplier to submit a special report on the

კონკრეტული ფაზის ან მისი რომელიმე კომპონენტის განხორციელების სტატუსის შესახებ საგანგებო (სპეციალური) ანგარიშის გონივრულ ვადაში წარდგენა. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ასეთი ანგარიშის დაუდევრობის მიზეზით წარუდგენლობა ან დაგვიანება.

9. კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება

- 9.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მხრიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- 9.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი სახით კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის და არ განიხილოს მესამე პირთან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსი. მიმწოდებელს შეუძლია ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს საკუთარ თანამშრომლებზე და მხოლოდ იმ თანამშრომლებზე და იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი მხრიდან ამ პროექტთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად.
- 9.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის შინაარსის თავისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და კონფიდენციალურობის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.
- 9.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია მის ქვეკონტრაქტორებს (მათი არსებობის შემთხვევაში), რათა მათ შესარულონ სამუშაოსთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებამდე ქვეკონტრაქტორებმა მიმწოდებელთან უნდა დადონ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება წინამდებარე მუხლთან. შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე შეთანხმების ასლის მისთვის წარმოდგენა და მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შესარულოს აღნიშნული მოთხოვნა.
- 9.5. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის და/ან მისი შეწყვეტის შემდეგაც.

specific phase of the design or the status of implementation of any of its components within reasonable timeframes. Failure to submit or delay in submission of such report by the Supplier's negligence are not allowed.

9. Confidentiality and information security

- 9.1. The Supplier undertakes to keep the information received from the Purchaser under this Agreement confidential.
- 9.2. The Supplier undertakes not to disclose or make available confidential information to third parties in any form and in any manner without preliminary written consent of the Purchaser and not discuss the content of such confidential information with a third party. The Supplier may also issue such confidential information to its own employees and only to the employees and to the extent necessary for performance of functions related to this project from their part, without preliminary written consent of the Purchaser.
- 9.3. The Supplier shall ensure introduction of the content of this Article to the employees and strict compliance with confidentiality requirements.
- 9.4. The Supplier shall be authorized to provide confidential information to its subcontractors (if any) so that they perform obligations related to work. Before provision of confidential information, subcontractors shall conclude an agreement on non-disclosure of confidential information with the Supplier which will be in compliance with this Article. The Purchaser shall be authorized to request submission of the copy of this Agreement to it and the Supplier shall be obliged to immediately fulfill this request.
- 9.5. The obligations envisaged by this Article shall retain legal force after expiry of the Agreement validity term and/or after its termination.

9.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე შეთანხმდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტაზე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათ მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან შეთანხმებით გაანადგურონ ის.

9.7. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემსყიდველის შესახებ ინფორმაციასთან (შემდგომში: ინფორმაცია) დაკავშირებით ISO/IEC 27001 სტანდარტით განსაზღვრული, ქვემოთ მოცემული მოთხოვნები:

ა) „მიმწოდებელი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ელექტრონულ ფორმატში მიწოდებულ ინფორმაციაზე განახორციელოს ლოგიკური ან ფიზიკური წვდომის კონტროლი, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მატერიალური ფორმით მიწოდებული ინფორმაცია შეინახოს უსაფრთხოდ, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან უმოკლეს ვადებში, ელექტრონული ან/და მატერიალური სახით არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გაანადგუროს ისე, რომ არ მოხდეს მისი აღდგენა, რათა არ გახდეს ხელმისაწვდომი არავტორიზებულ პირთათვის.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 10%-ის ოდენობით.

10.2. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02%-ის ოდენობით, ვადაგადაცილების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა შესაძლებელია მოხდეს მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოკეთების

9.6. In case both Parties of the Agreement agree to terminate the obligation envisaged by this Article, the Parties shall return to each other all confidential information obtained by them under this Agreement or destroy it by agreement.

9.7. The Supplier shall be obliged to comply with the below requirements defined by ISO/IEC 27001 Standard in connection with the information about the Purchaser (thereafter "Information").

a) The Supplier shall be obliged to exercise control over logical or physical access to information submitted by the National Bank of Georgia in electronic format to avoid violation of confidentiality, availability and integrity of information;

b) The Supplier shall be obliged to keep the information provided by the National Bank of Georgia in a printed form securely to avoid violation of confidentiality, availability and integrity of information;

c) The Supplier shall be obliged to destroy confidential information in electronic and/or printed form within the shortest time after finalization of these contractual relations in such manner that it cannot be recovered so that it does not become available to unauthorized persons.

10. Liability of the Parties for non-performance of the terms and conditions of the Agreement

10.1. In case of non-performance of obligations undertaken by the Supplier under the Agreement, the Purchaser shall be authorized to impose penalty on it in the amount of 10% of the Price of Agreement.

10.2. In case of violation of any timeframes specified in this Agreement by the Supplier, the Purchaser shall be authorized to impose penalty on it in the amount of 0.02% of the price of the Agreement for each

- საშუალებით.
- 10.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილის (მაგალითად: საავტორო ზედამხედველობასთან დაკავშირებული ვალდებულებების) შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.
- 10.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.
- 10.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არცერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 10.6. იმ შემთხვევაში, თუ 10.2 პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი დაგვიანება შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს ან მეტს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის მიერ ვალდებულებების ან მათი ნაწილის შეუსრულებლობის მოტივით. ამ შემთხვევაში გამოყენებული იქნება 10.1 ან 10.3 პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
- 10.7. მიმწოდებელს არ დაეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციები, თუ დაგვიანება გამოწვეულია ამ ხელშეკრულებით შემსყიდველისთვის დაკისრებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულებით.

11. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

- 11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია 2019 წლის 25 ნოემბერს, სს „არდი დაზღვევას“ მიერ გაცემული No: CPB/19-004994 უპირობო საბანკო გარანტია, თანხაზე 126,850.00 (ას ოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი, რომელიც ძალაშია არაუგვიანეს 2021 წლის პირველი მარტისა.
- 11.2. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მომსახურების გაწევის ფაქტიური ვადა (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი) აჭარბებს გარანტიის მოქმედების ვადას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გააგრძელოს წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა, შემსყიდველის შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე.

overdue day which may be paid by means of deduction from the amount payable to the Supplier.

- 10.3. In case of non-performance of part of obligations undertaken by the Supplier under the Agreement (including obligations related to field supervision), the Purchaser shall be authorized to impose penalty on it in the amount of 5% of the price of the Agreement.
- 10.4. In case of delay in payment, the Supplier shall be authorized to impose penalty on the Purchaser in the amount of 0.02% of the due amount for each overdue day.
- 10.5. Payment of penalties shall not exempt either party from performance of their main obligations.
- 10.6. In case any delay specified in paragraph 10.2 equals to 1% or more of the cost of the Agreement, the Purchaser shall be authorized to terminate the Agreement unilaterally on the grounds of non-performance of obligations or their part by the other party. In this case, the sanction envisaged by paragraph 10.1 or 10.3 will be used.
- 10.7. Sanctions envisaged by this Article will not be imposed on the Supplier if delay is caused by delay in performance of obligations imposed on the Purchaser under this Agreement.

11. Performance Guarantee

- 11.1. Unconditional Performance Guarantee No. CPB/19-004994 issued by JSC “Ardi Insurance” on November 25th, 2019, for the amount of 126,850.00 (One hundred twenty six thousand eight hundred fifty) GEL, valid until March 1st, 2021 is submitted by the Supplier for the purpose of securing the Agreement performance.
- 11.2. If it appears that the actual term of provision of Services (the date of signature of the final Acceptance Certificate) exceeds the Guarantee validity term, the Supplier shall be obliged to extend the submitted Bank Guarantee on the basis of the respective notice of the Purchaser.

11.3. აღნიშნული გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების მიზეზით, მათ შორის, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შემსყიდველის ინიციატივით გაწყვეტის ან მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების დაუსაბუთებლად გაწყვეტის შემთხვევაში, ასევე მე-10 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების (პირგასამტეხლო) ანაზღაურების მიზნით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის პირობებია:

13.1.1. ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

13.1.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ტექნიკური დავალების (დანართი N1) III თავის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და პირობებით;

11.3. This Guarantee shall be used for the purpose of indemnification of any damage caused to the Purchaser as a result of non-performance or improper performance of the Agreement terms and conditions by the Supplier, including, termination of the Agreement on initiative of the Purchaser by reason of non-performance or improper performance of the Agreement terms and conditions by the Supplier or termination of the Agreement on initiative of the Supplier without any reason, as well as for the purpose of indemnification of penalty sanctions (penalty) envisaged by Article 10.

12. Making changes to the Agreement

12.1. Any change or addition may be made to this Agreement only in writing, on the basis of agreement between the Parties.

12.2. It is inadmissible to change the terms and conditions of the Agreement, including price, if total cost of the Agreement increases as a result of these changes or the terms and conditions of the Agreement become worse for the Purchaser, except for cases envisaged by Article 398 of the Civil Code of Georgia. The terms and conditions of the Agreement shall be revised in the manner established by the Georgian legislation.

12.3. In case of occurrence of circumstances envisaged by Article 398 of the Civil Code of Georgia, it is inadmissible to increase the total cost of the Agreement by more than 10% of the cost of the Agreement.

13. Termination of the Agreement

13.1. Terms and conditions of termination of this Agreement are as follows:

13.1.1. A party to the Agreement may be authorized to terminate the Agreement unilaterally in case of non-performance of the terms and conditions of the Agreement by the other party.

13.1.2. The Purchaser shall be authorized to terminate the Agreement unilaterally in case and on the terms and conditions envisaged by paragraph 1.5 of the III Chapter (Annex No. 1) of the Terms of Reference.

13.1.2.1. შემსყიდველის მიერ 13.1.2 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში:

ა) მიმწოდებელი ვალდებულია არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი ავანსის (არსებობის შემთხვევაში) სრული ან დარჩენილი თანხა, ან

ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული თანხები საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის გამცემისგან („გარანტორისა“);

გ) შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების პირველი ეტაპის ღირებულება სრულად, მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული გრგ-ს წამოდგენის შემდეგ, რა დროსაც არ უნდა მოხდეს ეს, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.

დ) მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში აღარ განაგრძოს გრგ-ს მისაღებად სამუშაოების წარმოება. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს წინამდებარე მუხლის (გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადახდის მოთხოვნის უფლებას.

13.1.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.1.4. მხარე ვალდებულია ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ, არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული

13.1.2.1. In case of termination of the Agreement provided by the paragraph 13.1.2. by the purchaser:

a) The supplier is obliged to return the full or remained amount of the paid advance (if any) to the purchaser no later than in 10 (ten) working days, or

b) The purchaser is authorized to request the amounts mentioned in the subparagraph “a” from the issuer of the bank guarantee of the advance payment (from “Guarantor”);

c) The purchaser is obliged to fully pay the supplier the value of the first stage of the services, after presenting the approved UDRP by the supplier, whenever this should occur, but no later than December 31, 2020.

d) The parties agree that the supplier is authorized not to continue the performance of works for obtaining UDRP in case of termination of the present Agreement by the purchaser. In such case the supplier loses the right of payment demand provided by the sub-paragraph (c) of this article.

13.1.3. The Agreement may also be terminated on initiative of the Parties on the basis of the mutual agreement.

13.1.4. A party shall be obliged to notify the other party of the intention to make a decision envisaged by this Article using written or electronic means of communication at least 30 (thirty) calendar days earlier.

14. Force Majeure

14.1. The Parties shall be exempted from liability for non-performance of obligations defined by the Agreement if this is caused by Force Majeure. In such case, the party shall notify the other party of

პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. მოლაპარაკების დაწყებიდან 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მე-2 ეტაპის დასრულებიდან მინიმუმ 30 დღის განმავლობაში, გარდა ხელშეკრულების 5.5.5, 5.5.6 პუნქტებისა და მე-10 მუხლისა, რომლებიც ძალაშია დასაპროექტებელი ობიექტის მშენებლობის დასრულებამდე.

17. ზოგადი დებულებები

17.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

17.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

impossibility of performance of undertaken obligations.

14.2. If either party cannot perform undertaken obligations due to Force Majeure, it shall immediately, but not later than the following calendar day notify the other party of their occurrence and/or termination. Otherwise, the respective party shall not be exempted from undertaken obligations;

14.3. Liability and obligations of the Parties shall be resumed upon the end of Force Majeure.

15. Disputes and their resolution

15.1. All disputes arising during the Agreement validity period shall be resolved through negotiations. In case of failure to reach an agreement within 30 days after commencement of negotiations, the Parties shall be authorized to apply to court to resolve the dispute in accordance with the Georgian legislation.

16. Agreement validity period

16.1. The Agreement becomes effective from the day of signature and shall be valid within at least 30 days after completion of Stage 2 of the Service envisaged by the Agreement, except paragraphs 5.5.5, 5.5.6 and Article 10 of the Agreement which are in force until finalization of construction of the facility to be designed.

17. General provisions

17.1. None of the parties have a right to delegate or transfer its rights or obligations to third persons without a written consent from the other party.

17.2. The parties agree that the relations which are not governed by this Agreement shall be governed in the manner established by the Georgian legislation.

17.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ვეზემპლარად (ერთი ვეზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე ვეზემპლარი - შემსყიდველს). ინტერპრეტაციის მიზნებისათვის უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

17.4. სადაც კონკრეტულად არ მოითხოვება წერილობითი ფორმა, კომუნიკაცია მხარეებს შორის შეიძლება წარმართოს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით - ტელეფონით, ელ-ფოსტით, თუ კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

17.3. The Agreement is made in Georgian, in two copies of equal legal force (one copy shall be given to the Supplier, the other copy - to the Purchaser). For the purposes of interpretation the Georgian version shall prevail.

17.4. Where a written form is not requested specifically, communication between the parties may be made through electronic means of communication - phone, email or other means of communication.

The parties essentially agree with the terms and conditions of the Agreement and in witness whereof, have signed this Agreement in accordance with the Georgian legislation, on the day and year specified in the beginning of this document.

Purchaser / შემსყიდველი:


(Signature/ხელმოწერა)

Koba Gvenetadze / კობა გვენეტაძე

Governor of the National Bank of Georgia / საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი



Supplier / მიმწოდებელი:


(Signature/ხელმოწერა)

Mark D. McCluggage / მარკ დ. მაკკლაგიჯი

President/CEO of GLMV Architecture Inc / GLMV Architecture Inc. პრეზიდენტი/აღმასრულებელი დირექტორი

(Seal / ბეჭედი)






14 / 26



**ტექნიკური დავალება
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
დამუშავებაზე**

I. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს თბილისში, საქართველოს ეროვნული ბანკის კუთვნილ 8779 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.03.002.033) ბანკის ახალი სათაო ოფისის შენობის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება (მომსახურება).

მომსახურება მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ ძირითად კომპონენტებს:

1. პირველი ეტაპი - წინასაპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები და ღონისძიებები:
 - ✓ გეგმარებითი დავალების (გდ) მომზადება და მისი დამტკიცება;
 - ✓ დამტკიცებული გდ-ს საფუძველზე განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) პროექტის შემუშავება და მისი დამტკიცება;
2. მე-2 ეტაპი - შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება (მუშა პროექტი);

II. ძირითადი მოთხოვნები

1. ტერიტორია და საოფისე შენობა უნდა იყოს თანამედროვე A კლასის ტიპის, შემდეგი ძირითადი პარამეტრებით:
 - ✓ სამშენებლო ფართი - დაახლოებით 17 000 კვ. მ. (პარკირების, აივნების და შენობის გარეთ მდებარე, სხვა დამხმარე და ტექნიკური შენობა-ნაგებობების სამშენებლო ფართის გარეშე);
 - ✓ თანამშრომელთა რაოდენობა - დაახლოებით 800 თანამშრომელი;
 - ✓ ტერიტორიას უნდა გააჩნდეს მიწისქვეშა ავტოსადგომი (დაახლოებით 200 ავტომანქანაზე გათვლილი), ასევე ვიზიტორებისთვის მცირე გარე ავტოსადგომი (დაახლოებით 30 ავტომანქანაზე გათვლილი) და გამწვანებული ეზო.
2. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - ა) ცენტრალური ბანკების მშენებლობაში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება და ნორმატივები;
 - ბ) საზოგადოებრივი შენობების მშენებლობის და მათი საინჟინრო კეთილმოწყობის სფეროში მსოფლიოში

**Terms of Reference
on Processing the Design and Cost Estimate
Documentation**

I. Procurement Object

The procurement object is processing (service) of the design and cost estimate documents on the construction of the new Head Office of the National Bank of Georgia on the land plot of 8779 m² (cadastral code: N01.15.03.002.033) appurtenant to the Bank in Tbilisi.

The service includes the key components as follows:

1. **First stage** – pre-design and preparatory works and remedies:
 - a) Development and approval of the planning assignment (PA);
 - b) Development and approval of the Urban Development Regulation Plan (UDRP) on the basis of the approved planning assignment.
2. **Second stage** – processing of the Detailed design (working draft) and cost estimate documents of the facility.

II. Main Requirements

1. The territory and the office building shall be of the modern Class A type with the main parameters as follows:
 - ✓ Construction area – approximately 17 000 m² (without the parking zone, balconies, and external and other supplementary and technical premise construction areas);
 - ✓ Number of the employees – approximately 800 employees;
 - ✓ The territory shall offer the underground parking zone (approximately 200 vehicles), the smaller parking area for the visitors (approximately 30 vehicles) and the green yard.
2. The following factors shall be taken into consideration upon design:
 - a. The best experience and regulations of the world-leading countries in the sphere of construction of the Central Banks;
 - b. The current world practice in the sphere of construction and engineering arrangement of the

დღეს არსებული პრაქტიკა, უახლესი მიღწევები და მიდგომები.

- გ) მშენებლობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, მომავალში დამატებით საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის (მაგ: სასწავლო ცენტრი, მუზეუმი და სხვა) განთავსების საშუალება, განაშენიანების ფართით დაახლოებით 500 კვ.მ.
3. პროექტის დამუშავების პროცესში, გამოსაყენებელი ტექნოლოგიების, კონსტრუქციების, მასალების, მანქანა-დანადგარების და ა.შ. შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მშენებლობის ხარჯების ოპტიმიზაციაზე, უსაფრთხოების, ხარისხის და კონკურსზე წარმოდგენილი კონცეფციის და იერსახის მაქსიმალური შენარჩუნებით.
4. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, რეგლამენტებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

შენიშვნა: დასაპროექტებელი შენობის ზოგადი ფუნქციონალურ-გეგმარებითი მაჩვენებლები (ზონირება საკურატორო მიმართულებების დაჯგუფებით, სამუშაო ოთახების და საერთო სარგებლობის სივრცეების რაოდენობების და ჯამური ფართები მითითებით) მოცემულია ცხრილში N1.

public premises, the recent achievements, and approaches;

- c. Opportunity for allocation of the additional building of public purpose (for instance, educational center, museum, etc.) on the construction territory with the urban development area of 500 m².
3. Upon the selection of the technologies, constructions, materials, machinery-devices, etc. to be used in the process of project development to pay the special attention to the optimization of the expenses of the construction, without affecting security, quality and the concept presented at the competition and by maximum maintenance of the appearance.
4. The design and cost estimate documents shall be processed in full adherence to the prevailing normative acts, construction rules and regulations and standards applied in Georgia.

Note: the general functional and planning indices of the design building (zoning with categorization according to the supervising directions, and with indication to a number of the working offices and common spaces, as well as total areas) are provided in the Table N1 below.

ცხრილი N1/ Table N1

N	სათავსების დასახელება/ Areas	სავარაუდო რაოდენობა/ Approximate number	ჯამური ფართი (კვ.მ) Total area (m ²)
1	სამუშაო ოთახები საკურატორო მიმართულებების შესაბამისად/ Working offices according to the supervising directions		
1.1	I	30	2,001.00
1.2	II	17	1,380.00
1.3	II	19	1,515.00
1.4	IV	25	1,800.00
1.5	V	24	1,794.00
2	საერთო სარგებლობის სათავსები/ Common use storages		
2.1	შეხვედრების და სათათბირო ოთახები/ Meeting and briefing rooms	36	1,350.00
2.2	ტრენინგ ოთახები/ Training rooms	2	300.00
2.3	სასადილო სამზარეულო ბლოკით/ Canteen with the kitchen block	1	600.00
2.4	საკონფერენციო/საპრეზენტაციო დარბაზი/ Conference/presentation hall	1	600.00
2.5	თავისუფალი სამუშაო სივრცე / Free working space	1	300.00
2.6	მისაღები ვესტიბიული/მინდები/ Lobby/reception	1	300.00

2.7	მისაღებთან არსებული საკონსულტაციო ოთახები/ Consultation rooms at the reception	4	100.00
2.8	არქივი და საწყობები/ Archives and warehouses	3	1,050.00
2.9	დერეფნები, ტამბურები, რეკრეაციები, ჰოლები, სველი წერტილები, ტექნიკური სათავსები და ა.შ./ Corridors, tambours, recreations, halls, toilets, technical storages, etc.	გეგმარებიდან გამომდინარე	3,927.00
	სულ:/ Total:	164	17,017.00

ერთ საკურატორო მიმართულებაში შემავალი სამუშაო ოთახები უნდა განთავსდეს მაქსიმალურად კომპაქტურად.

დეტალური ფუნქციონალურ-გეგმარებითი მაჩვენებლები (ზონირება დეპარტამენტების/განყოფილებების გადანაწილებით და საკურატორო მიმართულებების დაჯგუფებით, სამუშაო ოთახების რაოდენობა ფართების და თანამშრომელთა რაოდენობის მითითებით, სათათბირო და ტრენინგ ოთახების რაოდენობა, ტევადობა და ფართები, თავისუფალი სამუშაო სივრცეები, სასადილო, არქივი, საწყობების, ღია და დახურული პარკინგები და სხვა) მიმწოდებელს გადაეცემა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

III. მომსახურების გაწევის ეტაპები და ვადები

1. პირველი ეტაპი - წინასაპროექტო და მოსამზადებელი სამუშაოები და ღონისძიებები:
 - ✓ გეგმარებითი დავალების (გდ) მომზადება და მისი დამტკიცება;
 - ✓ დამტკიცებული გდ-ს საფუძველზე განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) პროექტის შემუშავება და მისი დამტკიცება.
- 1.1. მომსახურების პირველი ეტაპი უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის და ქალაქგეგმარებითი სფეროს მარეგულირებელი და მარეგლამენტირებელი დოკუმენტების მოთხოვნათა სრული დაცვით.
- 1.2. გეგმარებითი დავალების შემუშავების და მისი კანონმდებლობის შესაბამისად დასამტკიცებლად წარდგენის ვადა შეადგენს 2 (ორი) თვეს ხელშეკრულების გაფორმებიდან;
- 1.3. დამტკიცებული გდ-ს საფუძველზე გრგ-ს პროექტის შემუშავების და მისი კანონმდებლობის შესაბამისად დასამტკიცებლად წარდგენის ვადა შეადგენს 2 (ორი) თვეს გდ-ს დამტკიცებიდან.
- 1.4. გდ-ს და გრგ-ს განხილვის პროცესში უფლებამოსილი ორგანოსთან კომუნიკაცია, შენიშვნებზე პასუხის

The working rooms included in one supervisory direction shall be allocated in a compact manner at the maximal extent. The detailed functional-design indices (zoning with allocation of the departments/divisions and by categorizing the supervisory directions, number of the working rooms with indication to the areas and the number of the employees, number of the briefing and training rooms, capacity and areas, free working spaces, canteen, archive, warehouses, open and closed parking zones etc.) shall be delivered to the supplied after conclusion of the agreement.

III. Service Provision Terms and Stages

1. First stage – pre-design and preparatory works and remedies:
 - ✓ Development and approval of the planning assignment (PA);
 - ✓ Development and approval of the Urban Development Regulation Plan (UDRP) on the basis of the approved planning assignment.
- 1.1. The first stage of the service shall be provided in full adherence to the legislation of Georgia and the requirements of the urban planning regulations;
- 1.2. The term for development and submission for approval of the planning assignment in line with the legislation constitutes 2 (two) months upon conclusion of the agreement;
- 1.3. The term for development and submission for approval of the urban development regulation plan based on the planning assignment in line with the legislation constitutes 2 (two) months upon approval of the planning assignment;
- 1.4. Communication with the authorized institution in the course of consideration of the planning assignment and the urban development regulation plan, development of the response to the remarks, elimination of gaps and re-submission:

მომზადება, ხარვეზების გამოსწორება და ხელახალი წარდგენა:

- ა) მიმწოდებლის მიერ მოსამზადებელ დოკუმენტაციაზე - 5 (ხუთი) სამუშაო დღე;
- ბ) მესამე პირების მიერ მოსამზადებელი მასალების ვადები განისაზღვრება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით.

შენიშვნა: უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვის დრო არ შედის ზემოაღნიშნულ ვადებში.

1.5. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული გრგ 2020 წლის 26 თებერვლამდე არ იქნება გაცემული, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება. აღნიშნული შეწყვეტა არ გამოიწვევს მხარეებისთვის რაიმე ვალდებულებების წარმოქმნას და/ან სანქციების დაკისრებას.

1.6. მიუხედავად 1.5 პუნქტით გათვალისწინებული დებულებისა, შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს მომსახურების პირველი ეტაპის ღირებულებას სრულად (გაწეული სამუშაოების ღირებულებას), მიმწოდებლის მიერ დამტკიცებული გრგ-ს წამოდგენის შემდეგ, რა დროსაც არ უნდა მოხდეს ეს, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა.

2. **მე-2 ეტაპი** - შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება, რომელიც მოიცავს სამ ფაზას : კონცეპტუალური დიზაინი, სქემატური პროექტი, მუშა სტადია/სამშენებლო ნახაზები;

2.1. **ფაზა 1 - კონცეპტუალური დიზაინის ფაზა:**

- შემსყიდველთან კონსულტაციების შედეგად შეთანხმებული და დაზუსტებული პროგრამის ფუნქციური გადაწყვეტა და ასახვა ესკიზურ პროექტში, შემსყიდველის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს სხვადასხვა დეპარტამენტების დეტალური განლაგება და ურთიერთკავშირები შენობის სხვადასხვა სართულებზე და სივრცეებში;
- ისტორიული კომენტარების/რეკომენდაციების არქიტექტურულ ესკიზურ პროექტში; საბჭოს ასახვა
- გეგმარებითი დავალების კომენტარების/რეკომენდაციების არქიტექტურულ ესკიზურ პროექტში; (გდ) ასახვა

- a) 5 (five) business days for the documents subject to be developed by the supplier;
- b) The terms for the material subject to be developed by the third parties shall be defined on the basis of the consent between the purchaser and the supplier.

Note: time needed for consideration by authorized institution of the documents submitted, shall not be included in the hereof terms.

1.5. In the event, if the urban development regulation plan approved by the authorized institution is not issued as for February 26, 2020, the Purchaser shall be entitled to terminate the agreement. Termination of the agreement shall not entail the emergence of any liabilities for the parties and/or imposition of the sanctions;

1.6. Nevertheless of the provision stipulated under paragraph 1.5, the Purchaser shall fully pay to the supplier the value of the first stage of services, after presenting the approved UDRP by the supplier, whenever this should occur, but no later than December 31, 2020.

2. **The second stage** – processing the Detailed design and cost estimated documents of the building which comprises the three phases: conceptual design, schematic project, working stage/construction designs:

2.1. **Phase 1 – conceptual design phase:**

- As the result of the consultations with the purchaser the functional resolution of the agreed and adjusted program and its reflection into the sketchy project on the basis of the information provided by the purchaser, to make the detailed placing of the various departments and intercommunications on the different floors and spaces of the building;
- Reflecting the comments/recommendations of the historic council in the architect sketchy project;
- Reflecting the comments/recommendations of the planning task (PD) in the architect sketchy project;
- Based the researched materials and main directions of the designing the preparation of the conceptual project album, including

- მოკვლეული მასალების და პროექტირების ძირითად მიმართულებებზე დაყრდნობით კონცეპტუალური პროექტის ალბომის მომზადება, მათ შორის კონცეპტუალური დაგეგმარება, სადაც მითითებული იქნება:

- [1] საპროექტო ობიექტის მდებარეობა, განლაგება და მათი ურთიერთკავშირები საპროექტო ტერიტორიაზე;
- [2] ობიექტზე შესვლისა და გამოსვლის აღწერა ;
- [3] ობიექტზე ცირკულირება, ფეხითმოსიარულეთათვის და ტრანსპორტისათვის;
- [4] განახლებული ფასადისა და სახურავის დეტალური აღწერა;
- [5] ობიექტის სხვა ელემენტებს.

2.1.1. დამკვეთისათვის გადასაცემი მასალები:

- პროექტირების ძირითადი მიმართულებები;
- პროექტის გენ. გეგმა;
- ყველა სართულის კონცეპტუალური გეგმა, მათ შორის ავტოსადგომის დონე;
- დეტალური სქემები სხვადასხვა დეპარტამენტების განლაგებისათვის სხვადასხვა სართულებზე და სივრცეებში;
- შენობის კრილები;
- შენობის ფასადები;
- პროექტის განახლებული ვიზუალიზაცია;
- გამოსაყენებელი და მთლიანი ფართობების განსაზღვრა;
- პროექტის ფაზის სრულყოფილად დამუშავებისათვის აუცილებელი სხვა მასალები.

2.2. ფაზა 2 - სქემატური პროექტირების ფაზა:

- სქემატური პროექტირების ფაზა ასახავს დამკვეთის მიერ გადმოცემულ ყველა კომენტარს კონცეპტუალურ ფაზასთან მიმართებით;
- სქემატური პროექტირების ფაზა ასახავს განაშენიანების რეგულირების გეგმაში მოცულ ყველა კომენტარს;

2.2.1. დამკვეთისათვის გადასაცემი მასალები:

- არქიტექტურა (სქემატური პროექტი);
- ინტერიერი (სქემატური პროექტი);
- გამოსაყენებელი მასალების სქემატური

conceptual planning where there will be indicated:

- [1] Location, place of the design facility and their interconnections on the project territory;
- [2] Description of entering and leaving the facility;
- [3] Circulation over the facility, for the pedestrians and transports;
- [4] Detailed description of the updated façade and roof;
- [5] Other elements of the facility.

2.1.1. The materials to transferred to the customer:

- Main directions of the designing;
- Project's master plan;
- Conceptual plan of all every floor, including the level of the parking lot;
- Detailed schemes for the placement of various departments on different floors and spaces;
- Building sections;
- Building facades;
- Updated visualization of the project;
- Determination of the usable and whole areas;
- Other materials required for the thorough development of the project phase.

2.2. Phase 2 – Phase of schematic designing

- The schematic designing phase reflects all the comments given by the Customer regarding the conceptual phase;
- The schematic designing phase reflects all the comments given in the regulating plan development;

2.2.1. Materials to be transferred to the customer:

- Architecture (schematic project);
- Interior (schematic project);
- Schematic specifications of the materials to be used;
- Construction part (schematic project);
- Engineering nets (schematic project);

- სპეციფიკაციები;
- კონსტრუქციული ნაწილი (სქემატური პროექტი);
- საინჟინრო ქსელები (სქემატური პროექტი):
ვენტილაცია;
გათბობა;
კონდიციონერება;
ცივი/ცხელი წყლის სისტემა;
კანალიზაცია;
სუსტი დენები.
- აკუსტიკა (სქემატური პროექტი);
- განათება (სქემატური პროექტი);
- ტრანსპორტირება (სქემატური პროექტი);
- ენერგოეფექტურობა (სქემატური პროექტი);
- ხანძარსაწინააღმდეგო კონცეფცია (სქემატური პროექტი);
- ლანდშაფტის დიზაინი / დენდროლოგია (სქემატური პროექტი);
- ვერტიკალური ტრანსპორტირება (სქემატური პროექტი);
- პროექტის ფაზის სრულყოფილად დამუშავებისათვის აუცილებელი სხვა მასალები.

2.3. ფაზა 3 – მუშა სტადია/სამშენებლო ნახაზები

შენობის მუშა პროექტი უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგ ძირითად კომპონენტებს/ნახაზებს/ინფორმაციას:

2.3.1. არქიტექტურულ-სამშენებლო ნაწილი:

- ✓ გენგეგმა, ვერტიკალური გეგმარების პროექტი, ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანებელი ტერიტორიების (დენდროლოგიური) პროექტი: შენობის წითელი ხაზები, ქუჩების დასახელებები, შენობის ადგილმდებარეობა (სიტუაციური გეგმა), არსებული/ახალი ნიშნულები და სადრენაჟო სისტემა/მიმართულებები, ტროტუარები და ფეხმავალთა გზები, ავტოსადგომის გეგმა, მანიშნებელი დაფები და ნიშნები, კიბეები, ბორდიურები, სამანქანო გზები, შემოღობვა, ჭიშკრები, კედლები, მათ შორის საყრდენი, ახალი და არსებული საკომუნიკაციო ქსელები, დენდროლოგია (ნარგავების ადგილმდებარეობა, რაოდენობა, ტიპები, ზომები, ირიგაციის სისტემა, სპეციალური მოთხოვნები, დეტალიზაცია, სპეციფიკაციები და სხვა;
- ✓ სართულების დეტალური გეგმები: საერთო გეგმები, დეტალიზაცია (სანკვანძების, კვების

- Ventilation;
- Heating;
- Conditioning;
- Cold/hot water system;
- Sewage;
- Weak currents.
- Acoustic (schematic project);
- Lightning (schematic project);
- Transportation (schematic project);
- Energy Efficiency (schematic project);
- Firefighting concept (schematic project);
- Landscape design/dendrology (schematic project);
- Vertical transportation (schematic project);
- Other materials required for the thorough development of the project phase.

2.3. Phase 3 – working stage / construction drawings

The working project of the building should include (but not limited to) the following main components/drawings/information:

2.3.1. Architecture-construction part:

- ✓ Master plan, vertical planning design, the amenities and greening plan of the territory (dendrological): red lines of the building, street names, location of the building (location map), existing/new markings and drainage system/directions, sidewalks and hiking lines, parking plan, sign plates and indicators, stairs, borders, highways, fencing, gates, walls, including the supporting, new and existing communication networks, dendrology (whereabouts of the plants, number, types, sizes, irrigation system, special requirements, details, specifications etc.);
- ✓ Detailed plans of the floors: general plans, details (sanitary nodes, kitchen block, stair cell plans, etc.);
- ✓ Roofing plan;
- ✓ Facades;

- ბლოკის სამზარეულოს, კიბის უჯრედების გეგმები და სხვა);
- ✓ სახურავის გეგმა;
- ✓ ფასადები;
- ✓ შენობის ჭრილები: გრძივი და განივი ჭრილები, დეტალიზაცია (შახტების, კიბის უჯრედების და სხვა);
- ✓ ჭერების გეგმები;
- ✓ ინტერიერის დიზაინის დეტალური პროექტი: კედლების, ტიხრების და იატაკების განშლები, ვიზუალური ნახაზები (რენდერები) და სხვა;
- ✓ ცხრილები, დეტალური სპეციფიკაციები;

2.3.2. კონსტრუქციული ნაწილი:

- ✓ შენობის ძირითადი კონსტრუქციების ტიპების განსაზღვრა და მათი ანგარიში დინამიური და სტატიკური დატვირთვების და გრუნტის მზიდუნარიანობის განსაზღვრის საფუძველზე;
- ✓ ნახაზები: საძირკვლის, სართულების, სართულშუა გადახურვების და სახურავის კონსტრუქციული გეგმები ყველა დონისთვის, აუცილებელი დეტალიზაციით;
- ✓ ცხრილები, დეტალური სპეციფიკაციები.

2.3.3. გათბობა-ვენტილაცია და ჰაერის გაგრილება:

- ✓ გეგმები მასშტაბში ყველა სართულისთვის ჰაერსატარების და დანადგარების ადგილმდებარეობის ჩვენებით;
- ✓ დეტალიზაცია, ცხრილები, დიაგრამები, დეტალური სპეციფიკაციები.

2.3.4. ელექტრო მომარაგება:

- ✓ დეტალური გეგმები მასშტაბში ყველა სართულისთვის;
- ✓ დეტალიზაცია, ცხრილები, დიაგრამები, დეტალური სპეციფიკაციები.

2.3.5. წყალმომარაგება და წყალარინება (კანალიზაცია)

- ✓ დეტალური გეგმები მასშტაბში ყველა სართულისთვის;
- ✓ დეტალიზაცია, ცხრილები, დიაგრამები, დეტალური სპეციფიკაციები.

2.3.6. კომპიუტერული ქსელის ინფრატრუქტურა

- ✓ დეტალური გეგმები მასშტაბში ყველა სართულისთვის;
- ✓ დეტალიზაცია, ცხრილები, დიაგრამები, დეტალური სპეციფიკაციები.

- ✓ Cuts in the building: longitudinal and diametrical cuts, details (mines, stair cells, etc.);
- ✓ Ceiling plans;
- ✓ Detailed interior design project: extensions of the walls, partitions, and floors, visual drawings (renders), etc.);
- ✓ Tables, detailed specifications.

2.3.2. Constructive part:

- ✓ Determination of the main construction types of the building and the reporting thereof on the basis of the definition of the statistic capacity and ground firmness;
- ✓ Drawings: construction plans of the basement, floors, inter-floor roofing and roofs for all the levels with necessary details;
- ✓ Tables, detailed specifications.

2.3.3. Heating-ventilation and air conditioning:

- ✓ Plans with the scales for all floors with indication to the location map of the air ducts and plants;
- ✓ Details, tables, diagrams, detailed specifications.

2.3.4. Energy supply:

- ✓ Detailed plans in scales for all floors;
- ✓ Details, tables, diagrams, detailed specifications;

2.3.5. Water supply and sewerage (sanitation):

- ✓ Detailed plans in scales for all floors;
- ✓ Details, tables, diagrams, detailed specifications.

2.3.6. Computer network infrastructure:

- ✓ Detailed plans in scales for all floors;
- ✓ Details, tables, diagrams, detailed specifications.

2.3.7. Fire alarm systems:

- ✓ Fire alarms;
- ✓ Automated fire extinction.

2.3.7. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები

- ✓ სახანძრო სიგნალიზაცია;
- ✓ ავტომატური ხანძარქრობა.

2.3.8. უსაფრთხოების სისტემები

- ✓ შენობაში და შენობის შეზღუდულ ზონებში დაშვების სისტემები;
- ✓ ვიდეოსათვალთვალო სისტემები;
- ✓ შენობაში არასანქცირებული შეღწევის საწინააღმდეგო სისტემები.

2.3.9. ტექნიკური სპეციფიკაციები:

- ✓ პროექტის თითოეული ნაწილი დამუშავებული უნდა იყოს საკმარისი დეტალიზაციით სამშენებლო-სამონტაჟო და მოსაპირკეთებელი სამუშაოების სრულყოფილად განსახორციელებლად და მათ თან უნდა ახლდეს დეტალური სპეციფიკაციები შენობის ყველა ელემენტისთვის ტიპების, რაოდენობების, ზომების, წონების, სამონტაჟო სქემების, საოპერაციო დეტალების ჩათვლით.

2.3.10. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია:

- ✓ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იყოს საბაზრო ფასების გათვალისწინებით, საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების, რეგლამენტებისა და სტანდარტების სრული დაცვით;
- ✓ ფასები ასახული უნდა იყოს აშშ დოლარში;
- ✓ სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ მოთხოვნებს.

2.3.11. მშენებლობის ორგანიზების პროექტი:

- 2.4. სამშენებლო ტერიტორიის ტოპოგრაფიას და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ მომზადებულ ზოგად გეოლოგიურ დასკვნას მიმწოდებელს გადასცემს შემსყიდველი.
- 2.5. მიმწოდებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, თავად, საკუთარი ხარჯებით მოიპოვოს

2.3.8. Security systems:

- ✓ Admission systems to the building and the restricted zones;
- ✓ Video surveillance systems;
- ✓ Unsanctioned penetration detectors.

2.3.9. Technical specifications:

- ✓ Each part of the project shall be processed with sufficient details in view of due construction-installment and plating works, accompanied by detailed specifications for all elements including the types, number, sizes, weights, installment schemes, and operational details.

2.3.10. Cost Estimate Documents:

- ✓ The cost estimate documents shall be composed providing the market prices, and in full adherence to the normative acts prevailing in Georgia, construction norms and regulations and standards;
- ✓ The prices shall be given in USD;
- ✓ Cost estimate of the works shall comply with the requirements of the Technical Regulations on “Definition of the Overhead Expenses and Planned Profit upon State Procurement of the Construction Works” approved under the Resolution of the Government of Georgia N55, of January 14, 2014.

2.3.11. Construction Organization Project.

- 2.4. Land survey of the construction site and the general geological conclusion developed by the LEPL “Levan Samkharauli National Forensics Bureau” shall be delivered by the buyer to the supplier;
- 2.5. The supplier shall, if necessary, at own expenses inquire all necessary documents from the administrative bodies and/or third parties, such are: permits, technical specifications, conclusion

- ადმინისტრაციული ორგანოებიდან ან/და მესამე პირებისგან ყველა აუცილებელი დოკუმენტი, როგორცაა მაგალითად: ნებართვები, ტექნიკური პირობები, საინჟინრო-სადიებო სამუშაოების დასკვნები და მასალები (გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია, ტოპოგრაფია) და ა.შ.
- 2.6. მიმწოდებელი ვალდებულია მის მიერ დამუშავებული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებაზე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ N57 დადგენილების შესაბამისად.
- 2.7. მშენებლობის ნებართვის დადგენილ საფასურს გადაიხდის შემსყიდველი.
- 2.8. მომსახურება არ ჩაითვლება შესრულებულად, თუ მიმწოდებელი არ წარმოადგენს 2.4 პუნქტებით გათვალისწინებულ მშენებლობის ნებართვას.
- 2.9. მე-2 ეტაპის დასრულების ვადა შეადგენს 8 (რვა) თვეს გრგ-ს დამტკიცებიდან, მათ შორის:
- ✓ პროექტირების ვადა - 6 (ექვსი) თვე;
 - ✓ შემსყიდველის მიერ პროექტის სხვადასხვა ნაწილების და მიმართულებების განხილვის და შეთანხმების ჯამური ვადა - არაუმეტეს 2 (ორი) თვისა.
- 2.10. პროექტის თითოეული ნაწილი აკინძული უნდა იყოს ცალკე ალბომად (3-3 ეგზემპლარი) რომელიც უნდა მოიცავდეს:
- ✓ თავფურცელს, ობიექტის დასახელებით, პროექტის ნაწილის დასახელებას და ალბომის ნომერს, გამოშვების წელს და შემსყიდველის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერას და ბეჭედს;
 - ✓ ფურცლების ჩამონათვალს;
 - ✓ განმარტებით ბარათს, რომელიც მოიცავს დაგეგმარების საფუძველსა და მიზნებს, შინაარსობრივ აღწერას, გამოყენებულ პირობით აღნიშვნებს, გამოყენებული კანონმდებლობის და ნორმატიული და მარეგულირებელი დოკუმენტების აღწერას, ტექნიკურ მაჩვენებლებს;
 - ✓ დეტალურ მუშა ნახაზებს, დიაგრამებს, სპეციფიკაციებს და საჭიროების შემთხვევაში ვიზუალურ მასალებს (3D ხედებს, ფოტომონტაჟს და ა.შ.);
 - ✓ ალბომის თითოეულ ფურცელს უნდა გააჩნდეს შტამპი.
- 2.11. გარდა ამისა, მიმწოდებელი შემსყიდველს გადასცემს პროექტის ელექტრონულ ვერსიას PDF ფორმატში.

- on the engineering-survey works and material (geology, hydrogeology, topography), etc.;
- 2.6. The supplier shall based on the project processed thereby, obtain the construction permit in line with the Resolution of the Government of Georgia of March 24, 2009 N57 on "Rule of Issue of the Construction Permit and Permission Conditions";
- 2.7. The buyer shall pay the fee for construction permit;
- 2.8. The service shall not be deemed rendered if the supplier fails to submit the construction permit as stipulated under paragraph 2.4;
- 2.9. The term for the conclusion of the second stage constitutes 8 (eight) months upon approval of the urban development regulation plan, including:
- ✓ Design term – 6 (six) months;
 - ✓ Term for consideration and reconciliation of various parts and directions of the project by the buyer – 2 (two) months at most.
- 2.10. Each part of the project shall be bound in a standalone album (3-3 specimens), which shall include:
- ✓ Title page, name of the facility, name of the part of the project and number of the album, year of issue, signature, and seal of the responsible person of the buyer;
 - ✓ List of the sheets;
 - ✓ Explanatory note including the basis and objectives of planning, contextual description, conditional marks, description of the used legislation and normative and regulatory documents, technical specifications;
 - ✓ Detailed working drawings, diagrams, specifications and visual material if necessary (3D views, photo footage, etc.);
 - ✓ Each sheet of the album shall be stamped.
- 2.11. Besides, the supplier shall delegate to the buyer the electronic version of the project in PDF format. The cost estimate documents shall be

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გადაეცემა შემსყიდველს როგორც PDF, ისე Excel ფორმატში.

2.12. მიმწოდებლის მიერ მე-2 ეტაპით გათვალისწინებული მასალების/დოკუმენტების შემსყიდველისთვის გადაცემის შემდეგ, შემსყიდველი უზრუნველყოფს პროექტის ექსპერტიზის ჩატარებას.

2.13. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზი და/ან, საჭიროების შემთხვევაში, შეიტანოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებები.

2.14. მომსახურების მე-2 ეტაპი შემსყიდველის მიერ საბოლოოდ მიღებული იქნება, მხოლოდ ცალსახათ დადებითი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

3. მიმწოდებელს ევალება, აგრეთვე, მშენებლობის პროცესში საავტორო ზედამხედველობის განხორციელება, რაც უნდა მოიცავდეს (მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს) შემდეგ ძირითად აქტივობებს:

- ✓ სამშენებლო პროცესის პერმანენტული მონიტორინგი;
- ✓ ობიექტზე რეგულარულად მისვლა/დათვალიერება ხარვეზების იდენტიფიკაციის მიზნით;
- ✓ ხარვეზებზე რეაგირება და რეკომენდაციების გაცემა;
- ✓ გაუთვალისწინებელი საკითხების გადაწყვეტა შემსყიდველთან შეთანხმებით;
- ✓ შემსყიდველთან და ტექნიკურ ზედამხედველთან რეგულარული კონსულტაციები;
- ✓ შენობის ექსპლუატაციაში მისაღებად მომზადებაში მონაწილეობის მიღება

4. გამონაკლისები

4.1. ყოველგვარი ეჭვის თავიდან ასაცილებლად, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე დავალება არ ითვალისწინებს შემდეგს:

- ✓ სამზარეულოს დეტალური ნახაზები და სპეციფიკაციები (გარდა გეგმებისა);
- ✓ სასერვერო მოწყობილობების დეტალური ნახაზები და სპეციფიკაციები;
- ✓ საპროექტო სერვერი (დოკუმენტების მიმოცვლის ინტერნეტის პროტოკოლის IP სერვერი);
- ✓ ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული პროექტის ექსპერტიზა;
- ✓ ავეჯის სპეციფიკაცია;

delivered to the buyer as in PDF so in Excel formats;

2.12. Upon delegation of the material/documents by the supplier to the buyer as stipulated by the second stage, the buyer shall ensure expert examination of the project;

2.13. The supplier shall at own expenses eliminate the gaps detected by the expert examination and/or, if necessary, introduce the respective changes to the design and cost estimate documents;

2.14. The second stage of the service shall ultimately be received by the buyer on the basis of the evidently positive expert opinion solely.

3. The supplier shall as well to ensure authorship supervision in the course of construction, including (but not limited with) the main activities as follows:

- ✓ Permanent monitoring of the construction process;
- ✓ Regular inspection/examination of the facility in view of identification of the gaps;
- ✓ Response to the gaps and issue of recommendations;
- ✓ Solution of unconsidered issues in consent with the buyer;
- ✓ Regular consultations with the buyer and the technical supervisor;
- ✓ Participation in preparation for delivery of the building to operation.

4. Exclusions

4.1. For the avoidance of doubt, the parties agree that the present assignment does not consider the following:


- ✓ Detailed drawings and specifications of kitchen (except plans);
- ✓ Detailed drawings and specifications of server devices;
- ✓ Project server (documents exchange internet protocol IP server);
- ✓ Expertise of the project provided by the paragraph 3.3 of the Agreement;
- ✓ Furniture Specification;
- ✓ Specifications of the devices to be used by a bank;


- ✓ ბანკის მოსახმარი აპარატურის სპეციფიკაციები;
- ✓ სამშენებლო ტენდერის მომზადებაში მონაწილეობა;
- ✓ სამშენებლო სამონტაჟო (სამემსრულებლო) ნახაზების მომზადება;

- ✓ Taking part into the preparation of the construction tender;
- ✓ Preparation of construction and installment (performing) drawings;

Purchaser / შემსყიდველი:


Supplier / მიმწოდებელი:


 (Signature/ხელმოწერა)
Koba Gvenetadze / კობა გვენეტაძე


 (Signature/ხელმოწერა)
Mark D. McCluggage / მარკ დ. მაკკლაგიჯი

Governor of the National Bank of Georgia / საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

President/CEO of GLMV Architecture Inc / GLMV Architecture Inc. პრეზიდენტი/აღმასრულებელი დირექტორი



(Seal / ბეჭედი)









ფასების ცხრილი/ Price Table

N	დასახელება/ Description	ღირებულება (ლარი) Price (GEL)	შენიშვნები/ Notes
1	პირველი ეტაპი / First stage	82,600.00	დასრულებულად ჩაითვლება შემსყიდველისთვის დამტკიცებული გრგ-ს ჩაბარების შემდეგ / Will be deemed as completed after the acceptance of the approved UDRP to the purchaser;
2	მე-2 ეტაპი /2 nd stage	2,415,892.00	დასრულებულად ჩაითვლება: -პროექტის ყველა ნაწილის ალბომების (3-3 ეგზემპლარი) და პროექტის ელექტრონული ვერსიის შემსყიდველისთვის ჩაბარების შემდეგ / Will be deemed as completed: after the acceptance of all parts of project albums (3-3 counterparts) and e-version of the project to the purchaser;
3	გაუთვალისწინებელი ხარჯები (მხოლოდ შემსყიდველის მოთხოვნით, ან მასთან შეთანხმებით!) / Unforeseen expenses (only on demand of the purchaser, or by agreement with him/her!)	38,508.00	გამოყენებული იქნება, მხოლოდ დასაბუთებული წინასწარ გაუთვალისწინებელი ხარჯების დაფარვის აუცილებლობის შემთხვევაში / Will be used only in case of necessity of payment of substantiated preliminary unforeseen expenses;
სულ:		2,537,000.00	

შენიშვნა / Note:

ფასები მოიცავს მომსახურების სრულყოფილად გაწევისთვის აუცილებელ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით. / The prices include all the expenses necessary for the fully rendering the services as well as all the taxes and duties determined by the legislation, including VAT.

Purchaser / შემსყიდველი:


(Signature/ბეჭედი)


Koba Gvenetadze/ კობა გვენეტაძე

Governor of the National Bank of Georgia/საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

(Seal / ბეჭედი)



Supplier / მიმწოდებელი:


(Signature/ბეჭედი)

Mark D. McCluggage / მარკ დ. მაკკლაგიჯი

President/CEO of GLMV Architecture Inc / GLMV Architecture Inc პრეზიდენტი/აღმასრულებელი დირექტორი

(Seal / ბეჭედი)









ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

28 ნოემბერი, 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სათაო ოფისის შენობის („ობიექტი“) მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავების მომსახურების (მიმწოდებელი: კომპანია GLMV Architecture Inc.) შესყიდვის პროცესში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კობა გვენეტაძე



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი



აიეი
დაზღვევა

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია N CPB/19-004994

თბილისი

25 ნოემბერი, 2019 წელი

გარანტი: სს არდი დაზღვევა

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 404858631

გარანტის მისამართი: თბილისის, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N3

პრინციპალი: GLMV Architecture Inc.

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 0305441

პრინციპალის მისამართი: აშშ, ტოპეკა, 112 სამხრეთ დასავლეთი მე-7 ქუჩა 3ც, ტოპეკა, კანზასის შტატი, 66603

ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ბენეფიციარი“)

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 203824148

ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, თბილისი, სანაპიროს 2

საგარანტიო თანხა: 126 850.00 (ას ოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი

კონკურსის უნიკალური ნომერი: CNT190000096

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი სათაო ოფისის მშენებლობის საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების მომსახურების შესყიდვაზე (CNT190000096) წარდგენილი საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ჩვენ გარანტი, თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 126 850.00 (ას ოცდაექვსი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი და ვკისრულობთ მემოთ აღნიშნული თანხის გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარის მხრიდან დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის გარეშე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრული და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები. ასევე აღნიშნული უნდა იყოს, რომ პრინციპალმა არ შეასრულა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (გარანტი უფლებამოსილია არ მოითხოვოს აღნიშნული საბუთი, თუ ხელმოწერილი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჭაროდ ხელმისაწვდომია) და საბანკო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების საბოლოოდ დამთავრებამდე, მაგრამ არაუგვიანეს: 2021 წელი, 1 მარტისა.

წინამდებარე გარანტია მოქმედებს 25.11.2019წ-დან 01.03.2021წ-ის ჩათვლით.

მემოქმედებიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტიის მოქმედების ვადის ჩათვლით.


საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება/მცირდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით;
- ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის თანხის შემცირების შესახებ წერილობითი შეტყობინებით.


გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
სს არდი დაზღვევა



მარია ქაშუშაძე
საოპერაციო ადმინისტრირების
დეპარტამენტის უფროსი



Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

www.barristers.ge

ა.ა.#135

საქართველოს ეროვნული ბანკის
იურიდიული დეპარტამენტის უფროსს,
ბატონ გიორგი ძიგუაშვილს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები“
თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12¹

მ ი მ ა რ თ ვ ა

(საჯარო ინფორმაციის დამატებით უზრუნველყოფის შესახებ)

ბატონო გიორგი,

თქვენი 2020 წლის 29 აპრილის #2-14/1191 წერილის თანახმად, სებ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად, გამარჯვებულ ამერიკულ კომპანია GLMV Architecture Inc.-სთან გაფორმდა ხელშეკრულება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვანოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ინფორმაცია, ამერიკულ კომპანია GLMV Architecture Inc.-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი;
2. ინფორმაცია, რამდენი კომპანია იღებდა მონაწილეობას კონკურსში.
3. ინფორმაცია, კონკურსში მონაწილე კომპანიების სრული დასახელების, მათ შორის მათი ს/კ-ის მითითებით და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების შესახებ.

გატყობინებთ, რომ ნებისმიერი სახის წერილობითი ინფორმაცია შესაძლებელია მოგვეწოდოს ორგანიზაციის ბლანკზე მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ან/და პირად ელექტრონულ ფოსტაზე: kaikatsishvili@yahoo.com.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
„ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელი
04 მაისი, 2020 წ.
ქ. თბილისი



¹ გატყობინებთ, რომ ნებისმიერი სახის წერილობითი ინფორმაცია შესაძლებელია მოგვეწოდოს ორგანიზაციის ბლანკზე მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ან/და პირად ელექტრონულ ფოსტაზე: kaikatsishvili@yahoo.com



Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

www.barristers.ge

ა.ა.#127

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტს, ბატონ კობა გვენეტაძეს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები“
თბილისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქ. #12

მ ი მ ა რ თ ვ ა

(საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფის შესახებ)

ბატონო კობა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სებ-ის ახალი შენობის მშენებლობისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ანალიზის ინტერესი გასული წლის სექტემბერში გამოთქვა, სებ-დან გამოითხოვა გარკვეული ინფორმაცია და წარმოადგინა შესწავლის პირველადი შედეგები.

სებ-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სებ-ის ბიუჯეტიდან აღნიშნული თანხის გადახდა, არ განხორციელებულა. ამასთან, ტექნიკური დავალების თანახმად, მომსახურეობის გაწევის სავარაუდო ვადაა 38-44 თვე, მათ შორის: პროექტირების ეტაპი - 6 თვე. სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორის შერჩევის (ტენდერი) ეტაპი - 2 თვე. მშენებლობის ეტაპი-სავარაუდოდ 30-36 თვე. მშენებლობის სავარაუდო ბიუჯეტი შეადგენს 50 000 000 მილიონ ლარს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ინფორმაცია, გამოვლინდა თუ არა და როდის, ობიექტის მშენებარე კომპანია (ჯგუფი). ასეთის არსებობის შემთხვევაში, მოგვაწოდეთ ინფორმაცია მშენებარე კომპანიის (ჯგუფის) დასახელების, გამოვლენის თარიღისა და ს/კ-ის შესახებ;
2. რა ეტაპზეა სებ-ის ახალი შენობის მშენებლობის პროცესი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია.

ბლანკზე არსებული მისამართი წარმოადგენს ორგანიზაციის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართს, სადაც ამჟამად საქმიანობა, ახალი კორონავირუსის გამო, შეჩერებულია. გატყობინებთ, რომ ნებისმიერი სახის



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები"

www.barristers.ge

წერილობითი ინფორმაცია შესაძლებელია მოგვეწოდოს ორგანიზაციის ბლანკზე მითითებულ ელექტრონულ მისამართზე ან/და პირად ელექტრონულ ფოსტაზე: kaikatsishvili@yahoo.com.

პატივისცემით,
არჩილ კაიკაციშვილი

„ახალგაზრდა ადვოკატების“
ხელმძღვანელი

16 აპრილი, 2020 წ.
ქ. თბილისი

